ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი
კერძო პირთათვის 10.000 მანეთი.
სახელმწიფო დაწეს. 7.000 მანეთი.

ბროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეოთხე

მოამბე

შაბათი, აპრილის 8. 1922 წ.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა.

№ 31 ოთველ კვირეული ორგანო. № 31

ჟურნალ „მოამბე"-ს რედაქციისაგან.

ყველა ხელის მომწერთა, სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა და კერძო ორგანიზაციების საყურადღებოდ რედაქცია აცხადებს, რომ

ჟურნალი უფასოდ ვრცელდება.

ყველა ხელის მოსწერი ვალდებულია გადაიხადოს მათზე დარჩენილი ხელის მოწერის ფასი, წინააღმდეგ შემთხვევაში **მოესპობათ ჟურნალის გზავნა.**

ჟურნალში მოსათავსებელი განცხადება დაიბეჭდება მხოლოდ ფულის შეტანის შემდეგ.

რედაქცია ღია დილის 9 ს. 3 საათამდე კვირა-უქმეების გარდა.

რედაქციის მისამართი

შინ. საქ. სახ. კომისარიატის ბინა: ევანგულოვის ქ. № 1. (ყოფ.—კადეტთა კორპუსის შენობა) ტელეფონი № 6—90.

ოფიციალური განყოფილება.

დეკრეტი № 90.

საქართ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტისა

შრომისა და ტვირთ ზიდვის ბეგარის შრომისა და ტვირთ-ზიდვის ხარკის საფუძველზე განხორციელების შესახებ.

დანგრეული სახალხო მეურნეობის აღსადგენად (შეკეთება და გაყვანა რკინისგზებისა, შარაგზებისა და სარწყავ არხებისა, დამზადება და გამოზიდვა სათბობი და ხე-ტყის მასალისა და სხვ.) რაც მოითხოვს აუარებელ მუშა-ხელსა და ტვირთ-ზიდვის საშუალებას, რომლის გაწვევა დღემდე ხდებოდა შრომისა და ტვირთ-ზიდვის ბეგარით, და ხელს უშლიდა სასოფლო მეურნეობის ნორმალურ განვითარებასა და წარმატებას,—საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1. შრომისა და ტვირთ-ზიდვის ბეგარა, რომელიც თავისი თვისებით შეუძლებლად ჰხდის სახელმწიფოსათვის სავალდებულო სამუშაოს თანასწორ განაწილებას რესპუბლიკის ყველა მოქალაქეთა შორის, განხორციელებულ იქნეს შრომისა და ტვირთ-ზიდვის ხარკის საფუძველზე.

2. შრომისა და ტვირთ ზიდვის ხარკი დაედოს ყველა შრომის-უნარიან მამა-კაცს 18-დან 50 წლამდე და ოთხფეხ მუშა-საქონელს (ხარი, კამეჩი, ცხენი, ჯორი და სხვ.) ყველა გადასაზიდ საშვალებით (ურემი, ფურგუნი, ეტლი და სხვ.)

3. შრომის და ტვირთ-ზიდვის ხარკის ნორმად მთელ რესპუბლიკაში დაწესდეს 6 სამუშაო დღე წელიწადში.

შენიშვნა: იმ პირს, რომელიც ტვირთ-ზიდვის საშუალებას ახლავს, ტვირთ-ზიდვის სამუშაო დღეების რიცხვი ჩაეთვლება ხარკის შესრულების ნორმაში.

4. შრომისა და ტვირთ-ზიდვის ხარკისთვის დაწესებული ნორმა (მე-3-მე პუნქტის თანახმად) სამუშაოს თვითეულ კატეგორიის ფარგლებში შეფარდებული უნდა იქნეს სახელმწიფოსათვის შესასრულებელ სანაჭრო და სააკორდო სამუშაოს განსაზღვრულ რაოდენობასთან და გამოანგარიშებული სამუშაო დღეების სათანადო გადაკვეთილ ნორმასთან შეფარდებით; ამასთანავე მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შრომის არსებული პირობები.

შენიშვნა: სამუშაო დღეების გადაკვეთილ ნორმასთან შეფარდებას (საკენი, ვერსტი, ფუთი, დამზადებისა და გადატანის ერთეული და სხვ.) აწესებს შრომის სახალხო კომისარიატი სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსა და საქართვ. პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან ერთად.

5. შრომისა და ტვირთ-ზიდვის ხარკის წესით შესრულებულ სამუშაოსათვის სასყიდელი არავის მიეცემა, გარდა იმ ადგილების მცხოვრებთა, სადაც თვალსაჩინო მოუსავლობაა; ასეთ ადგილებში სასყიდელი უნდა მისცეს იმ სამეურნეო ორგანომ, რომელიც სამუშაოს აწარმოებს, ხოლო სასყიდლის რაოდენობას ფულით, სურსათით და ფურაჟით თვითეულ ცალკე შემთხვევაში აწესებს უმაღლესი ეკონომიური საბჭო.

6. ფულის რაოდენობას, რომელიც შრომისა და ტვირთ-ზიდვის ხარკის ნაცვლად უნდა გადაიხადოს მცხოვრებთა არამიწათმოქმედმა კატეგორიამ (შინა-მრეწველი, ხელოსანი, კერძო მწარმოებელი და სხვ.) აწესებს შრომის სახალხო კომისარიატი საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან ერთად.

7. შრომის ღა ტვირთ-ზიდვის ხარკისაგან განთავისუფლება სწარმოებს შრომის სახალხო კომისარიატის განსაკუთრებული დადგენილების თანახმად.

8. უკეთუ მცხოვრებთა მიერ შრომისა და ტვირთ-ზიდვის ხარკის შესრულების შემდეგ, სამეურნეო ორგანოს კვლავ დასჭირდება მუშა-ხელის ან ტვირთ-ზიდვის საშვალება, ეს მოთხოვნილება დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს, მუშა-ხელისა და ტვირთ-ზიდვის საშუალებათა მხოლოდ ნებაყოფლობითი დაქირავებით.

9. სტიქიურ და საზოგადოებრივ უბედურების რაიმე შემთხვევის (ცეცხლი, თოვლი, ზვავი, წყალდიდობა და სხვ.) ლიკვიდაციისათვის შრომისა და ტვირთ-ზიდვის საშვალებათა გაწვევა სწარმოებს შრომის ბეგარის წესით შრომისა და ტვირთ-ზიდვის ხარკის ნორმის გარეშე.

10. შრომის სახალხო კომისარიატს, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატსა და სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან ერთად დაევალება შეიმუშაოს ინსტრუქცია მცხოვრებთა მიერ შრომისა და ტვირთ-ზიდვის ხარკის შესრულების კონტროლისა და მეთვალყურეობისათვის; ხოლო თვით კონტროლი და მეთვალყურეობა ხარკის შესრულებისა და აგრეთვე გაწვეულ მუშა-ხელისა და ტვირთ-ზიდვის საშვალებათა სამეურნეო ორგანოს მიერ რაციონალური გამოყენებისა, დაეკისრება შრომის სახალხო კომისარიატს.

11. ის პირი, რომელიც შრომისა და ტვირთ-ზიდვის ხარკის შესრულებას განერიდება, ან ხელს შეუწყობს ასეთ განრიდებას, ჩაითვლება შრომის დეზერტირად და პასუხისმგებელია საქართველოს რევოლიუციონურ კომიტეტის მიერ საყოველთაო შრომის ბეგარის შესახებ 83 №-ით გამოცემული დეკრეტის მე-5-ე და მე 6-ე მუხლების თანახმად.

12. ზემოაღნიშნულ საქმის განხორციელება დაევალება შრომის სახალხო კომისარიატსა და მის ადგილობრივ ორგანოებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

13. შრომის სახალხო კომისარიატს უფლება აქვს ამა დეკრეტის განმარტებისა და განვითარებისათვის გამოსცეს დადგენილებანი და ინსტრუქციები.

14. დეკრეტი ესე ძალაში შედის 1922 წლის თებერვლის 1-დან.

საქ. სოც. საბჭ. რესპუბ. რევ. კომიტეტის
თავმჯდომარე **ბ. მდივანი.**

შრომის სახალხო კომისრის
მოადგილე **ა. მიქაძე.**

რევოლ. კომიტ. მდივანი **ალ. სალარიძე**

1922 წ. იანვრის 25.

ტფილისი—სასახლე.

დეკრეტი № 94

საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევოლ. კომიტეტისა

სასპორტო და საგიმნასტო ორგანიზაციის გადაცემის შესახებ სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისარიატის შტაბის გამგებლობაში.

რათა მცხოვრებთა შორის სპორტის გავრცელება წარმატებით მიმდინარეობდეს, ამასთანავე თანაბარი სასწავლო ხერხი და უნარი იქნეს დამყარებული და საერთოდ კი, სასპორტო საქმე შესაფერ სიმაღლეზე იდგეს,—საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1. ყველა სასპორტო, საგიმნასტო და მსროლელთა ორგანიზაცია, საზოგადოება და კურსები, რომელიც საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე იმყოფება,—გადაეცეს სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისარიატის შტაბის უშუალო გამგებლობას.

2. ყველა ზემოაღნიშნული ორგანიზაცია და საზოგადოება დაუყონებლივ უნდა ჩაირიცხოს რეგისტრაციის სახით სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისარიატის შტაბის სპორტისა და ჯარში გაწვევამდე მომზადების განყოფილებაში.

3. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. ს. ს. რ. რევ. კომიტეტის თავმ-
ჯდომარის მოადგილე **ბ. კვირკელია.**

სამხედრო და საზღვაო სახ. კომ. **შ. ელიავა.**

რევოლ. კომიტ. მდივანი **ალ. სალარიძე.**

1922 წ. თებერვლის 17.

ტფილისი—სასახლე.

დეკრეტი № 95

საქართ. სოც. საბჭ. რესპ. რევოლ. კომიტეტისა.

საქციზო წესდების ზოგიერთი მუხლის შეცვლისა, დამატებისა და გაუქმების შესახებ.

საქციზო წესდების და მის დამატებითი სათანადო მუხლების შეცვლისა, დამატებისა და გაუქმებისათვის—საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1. გაუქმებულ იქნეს 1921 წ. ოქტომბრის 7-ის თარიღისა და 75 №-რის დეკრეტის მე-14-ტე მუხლი. სახელმწიფო მამულების და ნაციონალიზაცია ქმნილი საწარმოო დაწესებულებანი გაიღებენ აქციზსა და საპატენტო გადასახადს—საერთო წესით.

2. სოფლებში უაქციზოდ არაყის გამოხდა ოჯახის საჭიროებისათვის აკრძალულია, და სპირტის გამოხდა ხილისა, ყურძნისა და არყის ნორმულ ქარხნებში უნდა სწარმოებდეს საპატენტო გადასახადისა და აქციზის წინასწარი გაღებით.

3. პაპიროსის ყოველგვარ ქაღალდს ფურცლებად დაედოს აქციზი არსებული ტარიფის მიხედვით.

4. დაწესდეს აქციზი სახარინზე ნასყიდობის საშუალო ფასის 30% რაოდენობისა.

5. დაწესდეს აქციზი წეკოს ნაწარმოებზე ნასყიდობის საშუალო ფასის 30% რაოდენობისა.

6. დაწესდეს აქციზი ადგილობრივ და უცხოეთის სიგარასა და სიგარეტზე—ნასყიდობის საშუალო ფასის 50% რაოდენობისა.

7. უკეთუ თამბაქოს ფაბრიკებსა და საწყობებში გენერალური რევიზიისა და თამბაქოს ტრანსპორტის მიღების დროს აღმოჩენილ იქნება ისეთი თამბაქო, რომელიც აღემატება საპროცენტოდ განცხადებულსა თვითეულ ფუთ განუცხადებელ თამბაქოზე—გადახდილ უნდა იქნეს 160.000 მან. აქციზი.

8. ყველა აქციზდასადები საგნების კონფისკაციის დროს, ჩამორთმეულ უნდა იქნეს ის სადგომიც, სადაც მოთავსებული იყო კონფისკაციაქმნილი საგნები.

9. ვიდრე არაპირდაპირი ხარკის ახალი წესდება შემუშავდებოდეს, ჯარიმის ის რაოდენობა, რაც დაწესებულია არსებული კანონით საქციზო წესდების დარღვევისათვის, გადიდებულ იქნეს 500-დან 10.000 ჯერამდე.

შენიშვნა: ეს მუხლი არ შეეხება იმ ჯარიმას, რაც დამოკიდებულია აქციზისა და საპატენტო გადასახადის რაოდენობაზე.

10. აქციზის განაკვეთი იმ საგნებისთვის, რომლებიც ახლად არის აქციზ დადებული თანახმად მომქმედი კანონისა—პროპორციული საპროცენტო გადასახადის შესახებ—გადასინჯულ და შეცვლილ უნდა იქნეს ფინანსთა კომისრის მიერ არა უადრეს ორი თვის ვადისა.

11. ფინანსთა კომისარს უფლება ეძლევა, ამა დეკრეტის განსახორციელებლად, გადაიდოს ამ ჟა-

მად არსებული შემცირებული შტატი არაპირდაპირი ხარკის განყოფილებისა, ხოლო ეს გადიდება არ უნდა აღემატებოდეს 82 №-რის დეკრეტთან დართულ შტატს.

12. ფინანსთა კომისარს უფლება ეძლევა გამოსცეს ხელმეორე ინსტრუქცია ამა დეკრეტის ცხოვრებაში გასატარებლად.

12. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევ. კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ბ. კვირკელია.**

ფინანსთა სახალხო კომისარი **ალ. სვანიძე.**

რევოლ. კომიტეტის მდივანი **ალ. სალარიძე.**

1922 წ. თებერვლის 17.

ტფილისი—სასახლე

დეკრეტი № 96

საქ. სოც. საბჭ. რეს. რევოლიუციონური კომიტეტისა სახალხო ნოტარიუსებისა და უფროსი სახალხო ნოტარიუსების სანოტარიატო არქივების შესახებ.

1. სახალხო ნოტარიუსები.

1. სახალხო ნოტარიუსები მოქმედებენ ქალაქებსა, ხოლო, თუ საჭიროება მოითხოვს, მაზრებშიაც.

2. სახალხო ნოტარიუსთა რიცხვი ქალაქებსა და მაზრებში განისაზღვრება იუსტიციის სახალხო კომისარიატის მიერ.

შენიშვნა: სახალხო ნოტარიუსთა კანტორებისათვის ბინა მიეცემათ სათანადო კომუნალურ განყოფილების მიერ, იუსტიციის კომისარიატის წინადადებით.

3. სახალხო ნოტარიუსები უნდა აკმაყოფილებდენ შემდეგ მოთხოვნილებას: 1) მათ უნდა ჰქონდეთ უფლება როგორც ამოირჩიონ, ისე თვით იქნენ არჩეულნი მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებში; 2) უნდა ჰქონდეთ პოლიტიკური გამოცდილება მუშაობისა პროლეტარულ ორგანიზაციებსა, პარტიაში, პროფესიონალურ კავშირებსა, კოოპერატიულ ორგანიზაციებსა, ფაბრიკა-ქარხნის კომიტეტებსა და საბჭოთა დაწესებულებებში; 3) უნდა ჰქონდეთ პრაქტიკული და თეორიული მომზადება სახალხო ნოტარიუსის თანამდებობისათვის. სახალხო ნოტარიუსი უნდა აკმაყოფილებდეს პირველ მოთხოვნილებას ან და უკანასკნელ ორ მოთხოვნილების შორის ერთ-ერთს მაინც.

4. სახალხო ნოტარიუსებს დანიშნავს იუსტიციის სახალხო კომისარიატი.

5. ზედამხედველობა, აგრეთვე დისციპლინარული ხელისუფლება სახალხო ნოტარიუსთა მიმართ ეკუთვნის იუსტიციის სახალხო კომისარიატს.

6. სახალხო ნოტარიუსი ამოწმებს: ა) სხვა და სხვა გვარის პროტესტს; ბ) მორიგების წერილს და არზას, აგრეთვე სამედიატორო ხელწერილს; გ) რწმუნების წერილს; დ) ქალალდის ასლის სისწორეს; ე) ყოველგვარი სიგელის, ხელშეკრულების თუ საბუთის ხელმონაწერის სინამდვილეს; ვ) სახალხო ნოტარიუსთან საბუთის განცხადების დროს; ზ) პიროვნების ვინაობას; თ) ადგილობრივ და უცხო ენიდან ქართულ (სახელმწიფო) ენაზედ თუ ქართულიდან სხვა ენაზედ ნათარგმნის სისწორეს; ი) ცოცხალთა შორის ყოფნას; კ) განცხადებას ერთი პირისა მეორის მიმართ, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს უფლებრივი შედეგი; ლ) სახალხო ნოტარიუსთან ხელშეკრულების დასადებად საქმის მონაწილეთა გამოცხადების ან გამოუცხადებლობის დროს. სახალხო ნოტარიუსი მიიღებს კერძო პირთა მიერ განსაზღვრულ ვადით შესანახად წარდგენილ საბუთებს, თუ ფულს მევალესათვის გადასაცემად გარიგებისა (სდელკა) ან ვალდებულების გამო, შეადგენს სიგელებს მამულზედ, აგრეთვე სიმტკიცის სიგელს ქალაქში მდებარე უძრავ ქონებაზედ.

7. საჩივარი სახალხო ნოტარიუსის მოქმედებაზე შეტანილ უნდა იქნეს ერთი კვირის განმავლობაში დღიდან განსაჩივრებულ მოქმედების ჩადენისა. საჩივარი შეტანილ უნდა იქნეს იმ სახალხო სასამართლოში, რომლის უბანშიაც იმყოფება სახალხო ნოტარიუსი.

8. იქ, სადაც სახალხო ნოტარიუსი არ არსებობს, მისი მოვალეობის აღსრულება ეკისრება სახალხო მოსამართლეს.

შენიშვნა: საჩივარი იმ სახალხო მოსამართლის მოქმედებაზედ, რომელიც ასრულებს სახალხო ნოტარიუსის მოვალეობას, უნდა შეტანილ იქნეს დადგენილ ვადაზედ იუსტიციის სახალხო კომისარიატში.

9. გასაცემ სიგელების და შემოწმების ქალალდებზედ დასასმელად სახალხო ნოტარიუსს უნდა ჰქონდეს ბეჭედი ზედ-წარწერით: „ბეჭედი ამ და ამ სახალხო ნოტარიუსისა (სახელი და გვარი) აქა და აქა (ქალაქის თუ მაზრის დასახელება).

10. სახალხო ნოტარიუსი, თანამდებობის მიღებისთანავე, თავის ხელმონაწერის ერთს ცალს და ბეჭდის ტვიფარს დაუყონებლივ უგზავნის სათანადო უფროსს სახალხო ნოტარიუსს შესანახად და აგრეთვე ხსენებულ სახალხო ნოტარიუსის მიერ გაცემულ სიგელების ამონაწერებზედ დასმულ ბეჭედსა და ხელმონაწერთან შესადარებლად.

2. უფროსი სახალხო ნოტარიუსების სანოტარიატო არქივები.

11. უფროსი სახალხო ნოტარიუსების სანოტარიატო არქივები არსდება ტფილისს, ქუთაისსა და ბათომში.

შენიშვნა: ტფილისის სანოტარიატო არქივის რაიონში შედის: ქალაქი ტფილისი და ტფილისისა, ახალქალაქისა, ახალციხისა, ბორჩალოსი, გორისა, დუშეთისა, თელავისა, თიანეთისა და სიღნაღის მაზრები.

ქუთაისის სანოტარიატო არქივის რაიონში

ეროვნული ბიბლიოთეკა

შედის: ქ. ქუთაისი და ქუთაისისა, ზუგდიდისა, ღეჩხუმისა, ოზურგეთისა, რაჭისა, სენაკისა და შორაპნის მაზრები.

ბათომის სანოტარიატო არქივის რაიონში შედის აჭარის ავტონომიური სოც. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორია მთლად.

12. სანოტარიატო არქივს განაგებს უფროსი სახალხო ნოტარიუსი და მისი მოადგილე.

13. უფროსი სახალხო ნოტარიუსის მოვალეობის ფარგალს შეადგენს: არქივში დაცულ სიგელთა დავთრებიდან ამონაწერების, სიგელების და მათთან დართულ საბუთების ასლების გაცემა, დამტკიცება სახალხო ნოტარიუსების მიერ სანოტარიატო არქივის რაიონში მდებარე უძრავ ქონებაზე შესრულებულ ყოველგვარი სიგელისა, აგრეთვე ყადაღის დადებისა და მოხსნის წერილების კრებულთა შედგენა.

14. სანოტარიატო არქივმა უნდა აწარმოოს შემდეგი დავთრები: 1) ყადაღის დადებისა; 2) ყადაღის მოხსნისა; 3) გაცემულ ამონაწერთა და სიგელთა ასლების რეესტრები; 4) უძრავ ქონებაზედ შემდგარ სიგელების დავთრები და სარჩევნო; 5) ხაზინაში შემოსულ ბაჟის ნუსხა და 6) არქივში წარმოებული საქმის ჟურნალი.

15. საჩივარი უფროს სახალხო ნოტარიუსის მოქმედებაზედ შეტანილ უნდა იქნეს იმ სახალხო სასამართლოში, რომლის რაიონშიაც იმყოფება სანოტარიატო არქივი.

16. საჩივარი ესე შეტანილ უნდა იქნეს 7 დღის განმავლობაში დადგენილების გამოცხადების დროიდან, იგი შეიძლება წარდგენილ იქნეს სახალხო სასამართლოში პირდაპირ ან და სანოტარიატო არქივის მეშვეობით.

17. სახალხო ნოტარიუსების მიერ სიგელების შედგენისა და შემოწმების წესი, სანოტარიატო არქივთა მიერ სიგელების დამტკიცების წესრიგი, აგრეთვე სახალხო ნოტარიუსთა გასამრჯელოს ნიხრი გამოიცემა იუსტიციის სახალხო კომისარიატის მიერ.

3. ბაჟის შესახებ.

18. სანოტარიატო არქივიდან გაცემული ამონაწერისა, ასლისა თუ სხვა ქაღალდის ფასი გადახდევინებულ უნდა იქნეს იმ წესით და რაოდენობით, როგორც ეს დაწესებულია სახალხო სასამართლოდან გაცემული ქაღალდებისათვის.

19. უძრავ ქონებაზედ უფლების გადასვლის სიგელის დამტკიცებისათვის გადახდევინებულ უნდა იქნეს ბაჟი ხაზინის სასარგებლოდ საბაჟო წესდებისამებრ.

20. სახალხო ნოტარიუსის თუ უფროსის სახალხო ნოტარიუსის მიერ გაცემული ამონაწერისათვის გადახდევინებულ უნდა იქნეს საღერბო გადასახადი სიგელის საგნის თანხისამებრ საბაჟო წესდების თანახმად.

21. როდესაც საქმის მონაწილეთ ექვსზე რამდენიმე ამონაწერი, წინა მუხლში ნაჩვენები ფასი გადახდევინებულ უნდა იქნეს მხოლოდ ერთ ამ ამონაწერთაგანისათვის. დანარჩენებისათვის კი გამოერთმევათ მარტივი საღერბო გადასახადი; ამასთანავე ამ უკანანკნელებზედ უნდა აღინიშნოს, ვის მიეცა პირველი მთავარი ცალი და ამისათვის რა საღერბო გადასახადი გამოერთვა.

22. სიგელთა დავთრის ამონაწერი, რომელიც დამტკიცებულ უნდა იქნეს უფროსი სახალხო ნოტარიუსის მიერ, უნდა დაიწეროს საღერბო გადასახადის წესის დაცვით.

23. უფროსი სახალხო ნოტარიუსის სანოტარიატო არქივის შტატი განისაზღვროს შემდეგნაირად:

თანამდებობის სახელწოდება	ტფილისისათვის	ქუთაისისათვის	ბათომისთვის
უფროსი ნოტარიუსი	1	1	1
მოადგილე	1	1	—
არქივარიუსი . . .	1	1	1
რეგისტრატორი .	1	1	1
ჟურნალისტი . .	1	—	—
მანქანით გადამწერი	2	1	1
კანცელარიის მოხელე	4	2	1
მიკრიკი	1	1	1
ს უ ლ .	12	8	6

24. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევ. კომიტეტის თავმჯ. მოად. **ბ. კვირკელია.**

იუსტიციის სახალხო კომისარის მოადგილე **ხ. კარტოზია.**

რევოლ. კომიტ. მდივანი **ალ. სალარიძე.**

1922 წ. თებერვლის 27.

ტფილისი—სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეკრეტი № 97.

საქ. სოც. საბ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტისა.

ბავშვთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების კომისიის შესახებ.

რათა გაუმჯობესებულ იქნეს ბავშვთა ყოფა-ცხოვრება, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1. საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონურ კომიტეტთან დაარსებულ იქნეს ბავშვთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების მუდმივი საუწყებათაშორისო კომისია შემდეგი შედგენილობით: თავმჯდომარე,—რომელსაც დანიშნავს საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის პრეზიდიუმი და ცამეტი წევრი—საქართველოს საგანგებო კომისიისა, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა, განათლების სახ. კომისარიატისა, სასურსათო სახ. კომისარიატისა, სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატისა, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატისა, შრომის სახალხო კომისარიატისა, იუსტიციის სახალხო კომისარიატისა, მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატისა, საქართველოს კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის ცენტრალური კომიტეტისა, საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის კომიტეტისა და პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს—თითო წარმომადგენლისაგან, რომელთაც პერსონალურად დაამტკიცებს საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტი.

2. ბავშვთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების მუდმივ საუწყებათაშორისო კომისიას დაევალება შემდეგი:

ა) დახმარება დაწესებულებათათვის, მათ რიცხვში იმ დაწესებულებისათვისაც, რომელიც განაგებს უპატრონო ბავშვთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვას,—სურსათ-სანოვაგითა, ბინითა, გათბობითა და სხვ.;

ბ) მეთვალყურეობა ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების მიერ ბავშვთა დაცვისა და სრულიად უზრუნველყოფის შესახებ გამოცემულ დადგენილებათა განხორციელებისათვის;

გ) გამოცემა განკარგულებებისა,—კომისიის უფლებათა ფარგალში, ცენტრალური ხელისუფლების მომქმედ კანონებისა და დადგენილებათა საფუძველზე,—ბავშვთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის შესახებ და

დ) საკანონმდებლო თაოსნობა (ინიციატივა) ამა მუხლში აღნიშნული კითხვების გადასაწყვეტად.

3. კომისია ყოველ თავის ღონისძიებას განახორციელებს ცენტრალური ორგანოებისა, ხოლო ადგილობრივ—სამაზრო რევოლიუციონური კომიტეტების მეშვეობით, რომელნიც დანიშნავენ თითო რწმუნებულს თვითეულ მაზრაში—უშუალო მუშაობისათვის კომისიის ხელმძღვანელობით. რწმუნებულნი პასუხისმგებელნი არიან, როგორც სათანადო სამაზრო რევოლიუციონური კომიტეტისა, ისე კომისიის წინაშე.

4. კომისიის ხარჯთ-აღრიცხვა წარედგინება საქართველოს რევოლიუციონურ კომიტეტის პრეზიდიუმს, რომელიც დაამტკიცებს მას არსებული წესით. კომისიას უფლება ეძლევა ადგილობრივ რწმუნებულთა სახელმძღვანელოდ—გამოსცეს ვრცელი ინსტრუქცია.

5. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. ს. ს. რ. რევ. კომიტეტის თავმჯდომარის
მოადგილე **ბ. კვირკელია.**

სოციალური უზრუნველყოფის სახ.
კომისარი **ს. თოდრია.**

რევოლ. კომიტ. მდივანი **ალ. სალარიძე.**

1922 წ. თებერვლის 23.
ტფილისი—სასახლე.

დეკრეტი № 98

საქართ. სოც. საბჭ. რესპ. რევ. კომიტეტისა

მუშა-მოსამსახურეთა და დამქირავებელთა შორის კონფლიქტების გადაწყვეტის წესის შესახებ.

შრომასა და კაპიტალს შორის კონფლიქტების გადაწყვეტის საქმის უფრო მიზანშეწონილი მოგვარებისათვის, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1. დამქირავებელთა და მუშა-მოსამსახურეთა შორის ჩამოვარდნილი დავის გამო ყველა სახელმწიფო, კერძო და საზოგადოებრივ დაწესებულებასა და წარმოებაში, აგრეთვე სასოფლო და საიჯარო მეურნეობაში, შემოღებულ იქნეს შემდეგი წესი კონფლიქტების საქმის მსვლელობისა: პირველ ინსტანციას კონფლიქტების განხილვის საქმეში წარმოადგენს სათანადო წარმოებითი კავშირი, რომელმაც კონფლიქტის გადასაწყვეტად უნდა მიიღოს შესაფერი ზომები მოდავე მხარეთა შეთანხმებისათვის; უკეთუ შეთანხმება არ მოხერხდა, საქმე გადასაწყვეტად უნდა გადაეცეს ცენტრში—შრომის სახალხო კომისარიატის საკონფლიქტო კომისიას, ხოლო ადგილობრივ—შრომის განყოფილების საკონფლიქტო კომისიას, რომელთა დადგენილებაც საბოლოოა.

2. პროფესიონალურ კავშირთა საკონფლიქტო კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს მხარეთა მიერ ერთი კვირის განმავლობაში კონფლიქტს გადაწყვეტის დღიდან ცენტრში—შრომის სახალხო კომისარიატის საკონ-

ფლიქტო კომისიაში, ხოლო ადგილობრივ—სამაზრო შრომის განყოფილების საკონფლიქტო კომისიაში.

3. ცენტრის საკონფლიქტო კომისია შესდგება: შრომის სახალხო კომისარიატისა, იუსტიციის სახალხო კომისარიატისა და საჭ. პროფ. კავშირთა საბჭოს თითო წარმომადგენელთაგან; კომისიის თავმჯდომარე არის შრომის კომისარიატის წარმომადგენელი. ადგილობრივ საკონფლიქტო კომისია შესდგება: შრომის განყოფილებისა, სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტისა, იუსტიციის განყოფილებისა და სამაზრო პროფესიონალური ბიუროს წარმომადგენელთაგან, ადგილობრივი კომისიის თავმჯდომარე არის—შრომის განყოფილების წარმომადგენელი.

4, ის კონ ფლიქტი. რომელიც აღიძვრის შრომისა და შარაგზით ტვირთზიდვის ბეგარისა და შრომის და შარაგზით ტვირთზიდვის ხარკის მოსახდელად მცხოვრებთა გაწვევის ნიადაგზე, განხილულ უნდა იქნეს: ცენტრში—შრომის სახალხო კომისარიატისა, ხოლო ადგილობრივ სამაზრო შრომის განყოფილებაში.

5. პარიტეტულ საფუძველზე შეიძლება განხილულ იქნეს მხოლოდ ისეთი კონფლიქტი საკონცესიო წარმოებისა, რომლის შესახებაც არის სპეციალური შენიშვნა სათანადო ხელშეკრულებაში.

6. საკონფლიქტო კომისიას უფლება ეძლევა იმ მოდავე მხარეს, რომელიც მის გადაწყვეტილებას არ დაეთანხმება, დაადოს ჯარიმა 50.000.000 მანეთამდე, ხოლო თუ დაჯარიმებულს ამის შეძლება არა აქვს—დაუპატიმროს იგი იძულებითი მუშაობის ბანაკში ვადით ექვს თვემდე.

შენიშვნა: 1: საკონფლიქტო კომისიის დადგენილება სასჯელის დადების შესახებ მოყვანილ უნდა იქნეს სისრულეში საერთო წესით.

შენიშვნა: 2: საკონფლიქტო კომისიის გადაწყვეტილება სავალდებულოა ორივე მოდავე მხარისათვის და აღსრულებულ უნდა იქნეს სასწრაფოდ, იმ ვადაზე, რომელსაც კომისია დანიშნავს, თვითეულ ცალკე შემთხვევაში.

7. ამა დეკრეტის გამოქვეყნებისას გაუქმებულად ითვლება ყველა არსებული კანონდებულება კონფლიქტების გადაწყვეტის წესის შესახებ.

8. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. სოც. საჭ. რეპუბ. რევ. კომიტეტის
თავმჯდომარის მოადგილე
ბ. კვირკელია.

შრომის სახ. კომისრის მოადგილე
ა. მიქაძე.

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი
ალ. სალარიძე.

1922 წ. თებერვლის 23.
ტფილისი—სასახლე.

დადგენილება № 140

საქართ. სოც. საბჭ. რესპ. რევ. კომიტეტისა

თემის ადმასრულებელ კომიტეტებთან რწმუნებულთა ინსტიტუტის დაარსების შესახებ.

დამატებად საქართველოს რევოლიუციონურ კომიტეტის 1921 წლის ოქტომბრის 25-ს თარიღითა და 87 №-ით გამოცემულ დადგენილებისა,—საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1) შრომისა და შარა-გზებით ტვირთზიდვის ბეგარის განხორციელებისა და მისი სწორი განაწილებისათვის სოფლის მცხოვრებთა შორის, აგრეთვე განთავისუფლების წესის განხორციელებისა და შრომისა და შარაგზებით ტვირთზიდვის ხარკის დაწესებული მტკიცე ნორმების დაცვისათვის თემის აღმასრულებელ კომიტეტებთან დაარსდეს შრომის განყოფილებათა რწმუნებულების თანამდებობანი.

2. შრომის განყოფილების რწმუნებულის მოვალეობა დაეკისროს თემის აღმასრულებელ კომიტეტის ერთერთ წევრს, შეთავსების წესით.

3. თემის აღმასრულებელ კომიტეტის აღნიშნული წევრი შრომის მოწესრიგების საკითხებში უშუალოდ ექვემდებარება სათანადო სამაზრო შრომის განყოფილებას, ასრულებს ყველა მის განკარგულებას და მასვე წარუდგენს პერიოდულად თავისი მოქმედების ანგარიშს.

4. მე-3-მე მუხლში აღნიშნულ რწმუნებულთა უფლება-მოვალეობისა და მათი შრომის განყოფილებებთან ურთიერთობისათვის შრომის სახალხო კომისარიატს ევალება გამოსცეს სათანადო ინსტრუქცია და დებულება.

5. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის
თავმჯდ. მოად. **ბ. კვირკელია.**

შრომის სახალხო კომისრის მოად. **ა. მიქაძე.**

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი
ა. სალარიძე.

1922 წელ. თებერვლის 13. ტფილისი—სასახლე.

დადგენილება № 142

საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევ. კომიტეტისა

ქალ. ტფილისსა და ქუთაისში სახალხო სასამართლოს დროებითი სესიების მოწყობის შესახებ—შრომის დაცვის წესების დარღვევის საქმეების განსახილველად.

რადგან გახშირდა შრომის დაცვის შესახებ გამოცემული დეკრეტებისა და წესების დარღვევა, საქართველოს სოც. საბჭოთა რესპ. რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1. მიენდოს იუსტიციის სახალხო კომისარი-

ატს, ზემოაღნიშნული საქმეების განსახილველად და გადასაწყვეტად, მოაწყოს ტფილისსა და ქუთაისში სახალხო სასამართლოების არსებული შემადგენლობიდან დროებითი სესიები განსაკუთრებულ სიის სახალხო მსაჯულთა მონაწილეობით.

2. დადგენილება ასე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევ. კომიტ.

თავმჯდ. მოადგილე **ბ. კვირკელია**

იუსტ. სახ. კომისრის მოადგილე **ს. კარტოზია.**

რევ. კომიტ. მდივანი **ალ. სალარიძე.**

1922 წ. თებერ. 15. ქ. ტფილისი.—სასახლე.

დადგენილება № 144

საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევ. კომიტეტისა

საბჭოთა საქართველოში დამშეულთა დამხმარე კომიტეტის დაარსების შესახებ.

რადგან საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ზოგიერთ მაზრებში მოუსავლობაა, რის გამოც მოსალოდნელია ამ მაზრების მოსახლეობის ნაწილობრივი დამშევა, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1. მოწოდებულ იქნეს რესპუბლიკის მთელი მოსახლეობა საბჭოთა საქართველოში დამშეულთა ფართო დახმარებისათვის.

2. საბჭოთა საქართველოში დამშეულთა დახმარების საქმის წარსამართავად და ხელმძღვანელობისათვის—საქართველოს რევოლიუციონურ კომიტეტთან მოეწყოს „საბჭოთა საქართველოში დამშეულთა დამხმარე კომიტეტი".

3. საბჭოთა საქართველოში დამშეულთა დამხმარე კომიტეტის თავმჯდომარედ დაინიშნოს ამხ. ფ. მახარაძე, მის მოადგილედ—ამხ. სტურუა,—და კომიტეტის წევრებად: ა. ერქომაიშვილი, თ. ღლონტი, ი. ნაკაშიძე, ა. სვანიძე და გ. ქიქოძე.

4. დამშეულთა დამხმარე კომიტეტი თავის მუშაობაში ანგარიშვალდებულია საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის წინაშე, მოქმედებს მისივე კონტროლით და პერიოდულად საინფორმაციო მოხსენებებს წარუდგენს საბჭოთა რუსეთის დამშეულთა დამხმარე კომიტეტს.

5. კომიტეტს უფლება აქვს საბჭოთა ყველა დაწესებულებასთან მოაწყოს საქართველოში დამშეულთა დამხმარე სპეციალური კომისია.

6. პრინციპიალური საკითხები, საერთო, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებანი და კომიტეტის მუშაობის პროცესში წარმოშობილი რამ გაუგებრობა საბჭოთა დაწესებულებებთან გარჩეულ და გადაწყვეტილ უნდა იქნეს საბჭოთა რუსეთის დამშეულთა დამხმარე კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ; ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებანი აღნიშნულ საკითხების გამო სავალდებულოა აღსრულებისათვის.

7. კომიტეტი მუშაობას ერთი კვირის განმავლობაში უნდა შეუდგეს.

8. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევ. კომიტ.

თავმჯდ. მოადგილე **ბ. კვირკელია.**

რევ. კომიტ. მდივანი **ალ. სალარიძე.**

1922 წ. თებერვლის 15. ქ. ტფილისი—სასახლე.

შინაგ. საქ. სახ. კომისარიატი

დადგენილება ესე დამტკიცებულია საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის მიერ 1922 წ. თებერვლის 20-ს.

დადგენილება

მუნიციპალიზაცია ქმნილი სახლების სიის გადასინჯვისა და სახლების იჯარით გადაცემის შესახებ.

1. დაევალოს კომუნალურ განყოფილებათ მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება მუნიციპალიზაცია ქმნილი სახლების გამგებლობის სამეურნეო მხარეს, რათა ეს სახლები წესიერად იქნეს მოვლილი და შენახული.

2. დაევალოს კომუნალურ განყოფილებათ ორი თვის განმავლობაში გადასინჯონ მუნიციპალიზაცია ქმნილი სახლების სია, წარმოუდგინონ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს დასამტკიცებლად სია იმ სახლებისა, რომელნიც მათი სიმცირისა, ან კომუნალური მეურნეობისა და საერთო სახელმწიფოებრივი საჭიროებისათვის გამოუსადეგრობის გამო შეიძლება დაუბრუნდეს პატრონს, ან იჯარით გადაეცეს კოლექტივებსა და კერძო პირებს; გამოარკვიონ სახელდობრ მუნიციპალიზაციაქმნილ სახლებ შორის, რომელი სახლის დატოვებაა მიზანშეწონილი კომუნალურ განყოფილების გამგებლობაში, რისთვისაც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული კომუნალური მეურნეობისა და სახელმწიფოებრივი საჭიროებანი (საავადმყოფოები, სკოლები, დაწესებულებანი, კომუნის სახლები და სხვა) და ნამდვილი შესაძლებლობა კომუნალური განყოფილებათათვის ამ სახლებზე სამეურნეო მზრუნველობის განხორციელებისა.

3. ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებს ეძლევათ უფლება დიდი ხნის ვადით სარგებლობისათვის გადასცენ მდგმურების კოლექტივებს ის მუნიციპალიზაციაქმნილი სახლები, რომელსაც უშუალოდ არ სარგებლობს ადგილობრივი კომუნალური განყოფილება.

4. კომუნალურ მეურნეობის მთავარმა სამართველომ ორი კვირის განმავლობაში შეიმუშაოს ინსტრუქცია ამ დადგენილების ცხოვრებაში გასატარებლად.

შინაგ. საქ. სახ. კომისარი **ბ. კვირკელია.**

1922 წ. თებერვლის 3. ქ. ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთო დამატებითი შტატი

დამტკიც. ს. ს. ს. რ. რევოლ. კომიტ. მიერ 1921 წ. 3 დეკ.

ს. ს. ს. რესპუბლიკის მუშა-გლეხთა მილიციისა.

№№ რიგზე.	სამმართველოების დასახელება.	რაოდენობა.	ავტომობილი	ეტლი.	ცხენი.	შენიშვნა.
			1)	2)		1) მათში 1 საზიდავი 2) მათში 2 საზიდავი
1	მილიციის მთავარი სამმართველო.	113	3	4	8	
2	მაზრის მილიციის „	309	—	—	38	
3	„ რაიონის მილიც. „	460	—	—	115	სულ რესპუბლიკაში 115 რაიონია.
4	ქ. თბილისის და მის რაიონების სამმართველოები.	1026	1	1	2	
5	ქ. ბათომის მილიციის სამმართველო	53	1	1	2	
6	„ ქუთაისის „ „	48	—	1	2	
7	„ ფოთის „ „	38	—	1	2	
8	„ ბათომის, ფოთის და ქუთაისის მილიციის რაიონები.	498	—	—	—	
9	„ ბათომის და ფოთის ნავთსადგურის მილიცია.	84	—	—	—	
10	რკინის გზის მილიციის სამმართ.	453	—	1	2	
11	მილიციის სარდლობის კურსები	8	—	—	—	
12	მაზრის რაიონის უფრუსი და უმცროსი ცხენოსანი მილიციელები	1333	—	—	1333	
13	უმცროს ფეხოსანი მილიციელები.	1062	—	—	—	
14	მარქაფა რაზმი.	183	—	6	115	მათ შორის 89 ფეხოსანი.
	ს უ ლ	5668	5	15	1609	

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ბ. **კვირკელია.**

საქმეთა მმართველი **დიდებულიძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

შტატი № 1.

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის მილიციისა.

№№ რიგზე	თანამდებობა	რაოდენობა	ავტომობილი	ეტლი	ცხენი
1	რესპუბლიკის მილიციის უფროსი	1			
2	ადიუტანტი	1			
	სულ . .	2			
	1. პოლიტ-სეკრეტარიატი.				
3	რესპუბლიკის მილიციის პოლიტიკური კომისარი . .	1			
4	მთავარ მილიციის სამმართველოს პოლიტიკური კომისარი	1			
5	მდივანი	1			
	სულ . .	3			
	2. რესპუბლიკის მილიციის მთავარი სამმართველო.				
6	მთავარი სამმართველოს უფროსი (რესპუბლიკის მილიციის უფროსის მოადგილე) .	1			
7	ადიუტანტი (იგივე კომენდანტი)	1			
8	ექიმი	1			
9	ბეითალი	1			
	სულ . .	4			
	3. მთავარ სამმართველოს კანცელარია.				
10	კანცელარიის უფროსი . . .	1			
11	საქმის მწარმოებელი	1			
12	რეგისტრატორი	2			
13	მემანქანე	1			
14	რედაქტორი (იგივე გამგე ბრძანებების ბეჭდვისა) .	1			
	სულ . .	6			
	4. სამილიციო განყოფილება.				
15	განყოფილების უფროსი (იგივე მთავარ სამმართველოს უფროსის მოადგილე) . .	1			
16	სამხედრო ინსტრუქტორი . .	1			
17	ტოპოგრაფი	1			
18	მილიციის მთავარ ინსპეკტორი ინსტრუქტორი . . .	1			
19	ადმინისტრაციის ინსპექტორი.	2			
	სულ . .	6			
	ა) საადმინისტრაციო—სამწყობრო ქვე-განყოფილება:				
20	ქვე-განყოფილების უფროსი .	1			
21	საქმის მწარმოებელი	1			
22	რეგისტრატორი	2			
23	გადამწერი	1			
24	მემანქანე	1			
	სულ . .	6			
	ბ) საორგანიზაციო ქვე-განყოფილება:				
25	ქვე-განყოფილების უფროსი .	1			
26	საქმის მწარმოებელი	1			
27	რეგისტრატორი	1			
28	ჟურნალისტი	1			
29	მემანქანე	1			
	სულ . .	5			
	5. სისხლის სამართლის საქმეთა ძიების ცენტრალური განყოფილება				
30	განყოფილების უფროსი .	1			

ეროვნული ბიბლიოთეკა

31	ოპერატიულ მინდობილებათა მდივანი	1			
32	საიდუმლო აგენტურის გამგე .	1			
33	კვლევა—ძიების ინსტრუქტორი უფროსი და უმცროსი .	2			
34	ცენტრალურ სარეგისტრაციო ბიუროს გამგე	1			
35	სტატისტიკი	1			
36	ფოტოგრაფი	1			
37	აგენტები	3			
38	ინსტრუქტორი მაძებარი უფროსი და უმცროსი . . .	2			
	სულ . .	13			
	კანცელარია:				
39	საქმის მწარმოებელი	1			
40	ჟურნალისტი	1			
41	მემანქანე	1			
	სულ . .	3			
	6. მომარაგების განყოფილება.				
42	მომარაგების უფროსი . .	1			
43	მინდობილობათა აგენტი . .	2			
44	რეგისტრატორი	1			
45	მებინადრე (იგივე სამეურნეო მცირე გუნდის გამგე)	1			
	სულ . .	5			
	ა) საფინანსო და სასურსათო ქვე-განყოფილება:				
46	ქვე-განყოფილების უფროსი .	1			
47	ბუხგალტერი	1			
48	საქმის მწარმოებელი	2			
49	მემანქანე	2			
50	მოლარე	1			
51	საწყობის გამგე	1			
	სულ . .	8			
	ბ) სანივთო—საარტილერიო ქვე-განყოფილება:				
52	ქვე-განყოფილების უფროსი .	1			
53	საწყობის გამგე	1			
54	საქმის მწარმოებელი	1			
55	მემანქანე	1			
56	იარაღის გამგე	1			
57	„ მოხელე	1			
	სულ . .	6			
	ბ) სამეურნეო მცირე გუნდი:				
58	მეკუჭნავე	2			
59	ვახტერი	1			
60	შიკრიკი	4			
61	დამლაგებელი	3			
62	მეეტლე და მეჯინიბე . . .	4			
63	შოფერები	2			
64	შოფერის თანაშემწენი . .	2			
65	თერძი	12			
66	მეწაღე	11			
67	დალაქი	1			
	სულ . .	42			
	დ) საზიდავი:				
68	მსუბუქი ავტომობილი . . .	—	2		
69	საბარგო „ . . .	—	1		
70	ეტლი	—	—	2	
71	წყლის საზიდავი	—	—	2	
72	ცხენები	—	—	—	8
	ე) სასადილო:				
73	მზარეული	1			
74	თანაშემწე	1			
75	ჭურჭლის მრეცხელი	1			
76	მოსამსახურე	1			
	სულ . .	4			
	საერთოდ . .	113	3	4	8

შინაგ. საქმეთა სახ. კომისარი **ბ. კვირკელია.**

საქმეთა მმართველი **დიდებულიძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

შტატი № 2

მაზრის მილიციის სამმართველოისა

№№ რიგ.	თანამდებობა	რაოდენობა	თვიური ჯამაგირი	ავტომობილი	ეტლი	ცხენი
1.	მილიციის უფროსი	1				
2.	სამმართველოს უფრ. (იგივე უფროსის მოადგილე)	1				
	სულ:	2				
	პოლიტ.-სეკრეტარიატი:					
3.	პოლიტიკური კომისარი (თანაშემწე პოლიტ.-ნაწ.)	1				
	სულ:	1				
	საადმინისტრაციო სამწყობრო ნაწილი:					
4.	ნაწილის უფროსი (იგივე სამძებრო ნაწ. გამგე)	1				
5.	საქმის მწარმოებელი	2				
6.	რეგისტრატორი	1				
7.	გადამწერი	1				
8.	მემანქანე	1				
9.	კვლევა-ძიების საქმის გამგე	1				
10.	სამძებრო საქმეთა გამგე	1				
	სულ	8				
	სამნეო ნაწილი:					
11.	ნაწილის უფროსი	1				
12.	საქმის მწარმოებელი	1				
13.	მოლარე	1				
14.	მემანქანე	1				
15.	კაპტენარმუსი	1				
16.	დამლაგებელი	1				
	სულ:	6				
	საერთოდ:	17	—	—	—	2

1. ამავე შტატისა თანახმად ეწყობა ბათომის ოლქის მილიციის სამმართველო.

2. სამხრეთ ოსეთის და ზემო სვანეთის გამონაკლისით (იხ. 13 და 14 № შტატებისა).

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი **ბ. კვირკელია.**

საქმეთა მმართველი **დიდებულიძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

შტატი № 3.

მაზრის რაიონის მილიციის სამმართველოსი:

№№ რიგზე	თანამდებობა	რაოდენობა	თვიური ჯამაგირი	ავტომობილი	ეტლი	ცხენი
1	რაიონის უფროსი . . .	1				1
2	თანაშემწე (იგივე სისხლის სამართლის საქმეთა გამგე)	1				
3	საქმის მწარმოებელი . .	1				
4	დამლაგებელი	1				
	სულ . . .	4	—	—	—	1

შინაგან საქმ. სახ. კომისარი ბ. **კვირკელია.**

საქმეთა მმართველი **დიდებულიძე.**

შტატი № 4.

ქ. თბილისის მუშათა და გლეხთა მილიციის სამმართველოს და რაიონის მილიციისა.

№№ რიგზე	თანამდებობა	რაოდენობა	ავტომობილი	ეტლი	ცხენი
1	ქ. მილიციის უფროსი . . .	1	1	1	4
2	სამმართველოს უფროსი (მილიციის უფროსის მოადგილე)	1			
3	გარეშე ნაწილის უფროსი .	1			
	სულ . .	3	1	1	4
	1) საერთო ნაწილი:				
4	საერთო ნაწილის უფროსი .	1			
5	საქმის მწარმოებელი . . .	1			
6	რეგისტრატორი	2			
7	გადამწერი	4			
8	ბრძანების შემდგენი . . .	1			
9	მემანქანე	2			
10	ტელეფონისტი	3			
	სულ . .	14			
	2) საადმინისტრაციო ნაწილი:				
11	ნაწილის უფროსი	1			
12	საქმის მწარმოებელი . . .	1			
13	გადამწერი	4			
14	რეგისტრატორი	2			
15	მემანქანე	1			
	სულ . .	9			
	3) სამნეო ნაწილი:				
16	ნაწილის უფროსი	1			
17	მისი თანაშემწე	1			
18	საქმის მწარმოებელი . . .	1			
19	მოლარე	1			
20	მოანგარიშე	3			
21	იარაღის გამგე	1			
22	დანარჩენი საწყობის გამგე .	1			
23	გადამწერი	3			
24	რეგისტრატორი	1			
25	მემანქანე	1			
26	შოფერი	2			
27	მისი თანაშემწე	1			
28	მეეტლე	2			
29	დამლაგებელი	4			
30	შიკრიკი	3			
31	მეჩექმე	2			

ეროვნული ბიბლიოთეკა

32	თერძი	2
33	დალაქი	1
	სულ . .	31
	4) სისხლის ძიების საქმეთა განყოფილება:	
34	განყოფილების უფროსი .	1
	სულ . .	1
	ა) ჯვლეჯა-ძიების ნაწილი:	
35	საგამომძიებლო ნაწილის უფროსი (იგივე განყოფილების უფროსის მოადგილე) .	1
36	ინსტრუქტორი	2
37	საქმის მწარმოებელი . . .	1
38	მემანქანე	1
	სულ . .	5
	ბ) საშტაბო ნაწილი:	
39	ნაწილის უფროსი	1
40	ინსტრუქტორი	2
41	უფროსი აგენტები	12
42	უმცროსი „	24
43	ბოროტ-მოქმედებათა რეგისტრატორი (იგივე დამამტკიცებელ საბუთების გამგე).	1
	სულ . .	40
	გ. ჯანცელარია:	
44	საქმის მწარმოებელი . . .	1
45	ჟურნალისტი	1
46	გადამწერი	4
47	შოფერი	2
48	მისი თანაშემწე	1
49	დამლაგებელი	2
50	შიკრიკი	1
	სულ . .	12
	5) ქ. თბილისის რაიონის სამმართველო:	
51	რაიონის უფროსი	12
52	მათი თანაშემწე	22
53	საქმის მწარმოებელი . . .	12
54	მოანგარიშე	12
55	რეგისტრატორი	12
56	გადამწერი	24
57	მემანქანე	12
58	შიკრიკი	24
59	დამლაგებელი	24
60	უფროსი მილიციელები . .	75
61	უმცროსი	612
	სულ . .	841
	6) მილიციის მარქაფი:	
62	სამხედრო ინსტრუქტორი (იგივე მარქაფის უფროსი) .	1
63	ცხენოსან რაზმის უფროსი (იგივე მარქაფის უფროსის თანაშემწე)	1
64	ქვეითა მწყობრის უფროსი .	2
65	„ უმცროსი მილიციონერები	40
66	ცხენოსანი „ „	25
67	გადამწერი	1
	სულ . .	70
	საერთოდ . .	1026 1 1 4

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ბ. კვირკელია.
საქმეთა მმართველი დიდებულიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შტატი № 5.

ქ. ბათომის მილიციის სამმართველოსი.

№№ რიგზე	თანამდებობა	რაოდენობა	თვ. ჯამაგირი	ავტომობილი	ეტლი	ცხენი
1	მილიციის უფროსი	1		1		
2	სამართველოს უფროსი მილ. უფ. მოადგილე	1			1	2
3	სამხედრო ინსტრუქტორი იგივე მარქაფა რაზმის უფროსი	1				
	სულ . .	3				
	1. პოლიტ. სეკრეტარიატი.					
4	პოლიტიკური კომისარი პოლიტ-სეკრეტარიატის უფროსი	1				
5	მდივანი	1				
	სულ . .	2				
	2. საერთო კანცელარია.					
6	უფროსი საქმის-მწარმოებელი	1				
7	ჟურნალისტი.	1				
8	გადამწერი	1				
	სულ . .	3				
	3. ადმინისტრატიული-სამწყობრო განყოფილება.					
9	ნაწილის უფროსი (იგივე საგარეო ნაწილის გამგე). . .	1				
10	საქმის-მწარმოებელი	1				
11	გადამწერი	1				
12	რეგისტრატორი.	1				
13	მემანქანე.	2				
	სულ . .	6				
	4. სიხლის სამართლის ძიების განყოფილება.					
14	განყოფილების უფროსი . .	1				
	სულ . .	1				
	კვლევა ძიების ნაწილი.					
15	ნაწილის უფროსი (იგივე განყოფილების უფროსის მოადგილე)	1				
16	ინსტრუქტორი	2				
17	საქმისმწარმოებელი . . .	1				
18	მემანქანე	1				
	სულ . .	5				
	ბ. სამძებრო ნაწილი.					
19	ნაწილის უფროსი.	1				
20	ინსტრუქტორი	2				
21	უფროსი აგენტი.	5				
22	უმცროსი »	10				
	სულ . .	18				
	5. სამნეო ნაწილი.					
23	ნაწილის უფროსი.	1				
24	საქმის-მწარმოებელი	1				
25	მოლარე.	1				
26	მოანგარიშე	1				
27	კაპტინარმუსი	1				
28	იარაღის გამგე.	1				
29	დამლაგებელი.	1				
30	შიკრიკი.	2				
31	შოფერი.	1				
32	თანაშემწე	1				
33	მეეტრე	1				
34	მეწაღე	1				
35	თერძი.	1				
36	დალაქი	1				
	სულ . .	15				

ეროვნული ბიბლიოთეკა

	6. ქალაქ ბათომის რაიონის მილიცია.					
37	რაიონის უფროსი.	5				
38	თანაშემწე	5				
39	საქმის მწარმოებელი	5				
40	გადამწერი	5				
41	მემანქანე	5				
42	რეგისტრატორი, ...	5				
43	კაპტენარმუსი.	5				
44	შიკრიკი.	5				
45	დამლაგებელი.	5				
46	უფროსი მილიციონერი . .	20				
47	უმცროს „ . . .	150				
	ს უ ლ . .	215				
	საერთოდ .	268		1	2	4

შინაგ. საქ. სახ. კომისარი ბ. **კვირკელია.**

საქმეთა მმართველი **დიდებულიძე.**

შტატი № 6.

ქ. ქუთაისის მილიციის სამმართველო.

№№ ხაზზე.	თანამდებობა.	რაოდენობა.	თვეური ჯამაგირი.	ავტომობილი.	ეტლი.	ცხენი.
1	მილიციის უფროსი.	1			1	2
2	სამმართველოს უფროსი იგივე უფროსის მოადგილე. . .	1				
3	ინსტრუქტორი მარქაფა რაზმის უფროსი	1				
	ს უ ლ	3				

	1. პოლიტ-სეკრეტარიატი.	
4	პოლიტიკური კომისარი-პოლიტ სეკრეტარიატის უფროსი	1
5	მდივანი	1
	ს უ ლ . . .	2
	2 საერთო კანცელარია.	
6	უფროსი საქმის მწარმოებელი	1
7	საქმის მწარმოებელი	1
8	რეგისტრატორი.	1
9	მემანქანე	1
	ს უ ლ	4
	3. ადმინისტრატიული სამ წყობრო ნაწილი:	
10	ნაწილის უფროსი (გარეშე . . ნაწილის გამგე)	1
11	საქმის მწარმოებელი	1
12	გადამწერი	1
31	რეგისტრატორი.	1
14	მემანქანე.	1
	ს უ ლ	5
	4. სისხლის სამართლ. ძიების განყოფილება:	
15	განყოფილების უფროსი . .	1
	ს უ ლ . . .	1
	სისხლის სამართლის კვლევა ძიების ნაწილი.	
16	ნაწილის უფროსი	1
17	ინსტრუქტორი.	1
18	საქმის მწარმოებელი	1
	ს უ ლ	3
	ბ. სამძებრო ნაწილი:	
19	კვლევა-ძიების ნაწილის უფროსი.	1
20	ინსტრუქტორი.	1
21	უფროსი აგენტები . .	3
22	უმცროსი	10
	ს ულ	15

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. კანცელარია.

	საქმის მწარმოებელი	1
23	ჟურნალისტი.	1
24	მემანქანე.	1
25		
	ს უ ლ	3

5. სამნეო ნაწილი

26	სამნეო განყოფილების უროსი.	1
27	საქმის მწარმოებელი	1
28	ხაზინადარი.	1
29	მოანგარიშე.	1
30	კაპტენარმუსი	1
31	იარაღის გამგე	1
32	შიკრიკი.	1
33	დამლაგებელი.	1
24	მეეტლე	1
35	მეწაღე.	1
36	თერძი.	1
37	დალაქი	1
	ს უ ლ	12

6. ქ. ქუთაისის რაიონის მილიცია.

38	რაიონის უფროსი	5
39	თანაშემწე	5
40	საქმის მწარმოებელი. . . .	5
41	გადამწერი	5
42	მემანქანე.	5
43	რეგისტრატორი.	5
44	შიკრიკი.	5
45	დამლაგებელი.	5
46	უფროსი მილიციელი . . .	15
47	უმცროსი „	100
	ს უ ლ . . .	155
	ს ა ე რ თ ო ლ . .	203

				1	2

შინაგ. საქ. სახ. კომისარი ბ. კვირკელია.

საქმეთა მმართველი დადებულიძე.

შტატი № 7

ქ. ფოთის მილიციის სამმართველოსი

№№ რიგ.	თ ა ნ ა მ დ ე ბ ო ბ ა	რაოდენ.	თვ. ჯამ	ავტომობ.	მ ე ტ ლ ი	ცხენი
1	მილიციის უფროსი	1			1	2
2	სამმართველოს უფროსი (იგივე უფროსის მოადგილე) . . .	1				
3	სამხედრო ინსტრუქტორი (იგივე მარქაფა რაზ. უფრ) . . .	1				
	ს უ ლ:	3				
	1. პოლიტ.-კომისარიატი:					
4	სამმართველოს პოლიტიკურ კომისარი (თანაშემწე პოლიტიკურ ნაწილში).	1				
5	მდივანი	1				
	ს უ ლ.	2				
	2. ს. კანცელარია:					
6	უფროსი საქმის-მწარმოებელი	1				
7	უმცროსი „	1				
8	ჟურნალისტი	1				
	ს უ ლ.	3				
	3. ადმინისტრატ. სამწყ. ნაწ.					
9	ნაწილის უფროსი (იგივე გარეშე ნაწილის გამგე) . . .	1				
10	საქმის მწარმოებელი	1				
11	რეგისტრატორი	1				
12	მემანქანე.	1				
	ს უ ლ	4				
	4. სისხლის სამართლის გამოძიების ნაწილი:					
13	ნაწილის უფროსი	1				
14	ინსტრუქტორი	1				
15	მემანქანე	1				
	ს უ ლ	3				
	სამძებრო ნაწილი:					
16	ნაწილის უფროსი	1				
17	უფროსი აგენტი	2				
18	უმცროსი „	6				
	ს უ ლ	9				

ეროვნული ბიბლიოთეკა

	ბ. კანცელარია:					
19	საქმის მწარმოებელი	1				
20	ჟურნალისტი	1				
	ს უ ლ	2				
	5. სამნეო ნაწილი:					
21	ნაწილის უფროსი	1				
22	საქმის-მწარმოებელი . . .	1				
23	მოლარე	1				
24	მოანგარიშე	1				
25	კოპტენარმუსი	1				
26	იარაღის და საწ. გამგე . . .	1				
27	შიკრიკი	1				
28	დამლაგებელი	1				
29	მეეტლე	1				
30	მეწაღე.	1				
31	დალაქი	1				
32	თერძი	1				
	ს უ ლ	12				
	ქ. ფოთის რაიონ. მილიცია*)					
33	რაიონის უფროსი	4				
34	თანაშემწე	4				
35	საქმის-მწარმოებელი . . .	4				
36	გადამწერი	4				
37	რეგისტრატორი	4				
38	კაპტენარმუსი	4				
39	შიკრიკი	4				
40	დამლაგებელი	4				
41	მემანქანე	4				
42	უფროსი მილიციელი	12				
43	უმცროსი ,,	80				
	ს უ ლ	128				
	საერთოდ	166			1	2

*) ქ. ფოთში 4 სამილ. რაონია

შინაგ. საქ. სახ. კომისარი ბ. **კვირკელია.**

საქმეთა მმართველი **დიდებულიძე.**

შტატი № 8

საქ. საბჭ. სოციალ. რესპუბლიკის ნავთსადგურის მილიციის.

№№ რიგზე	თანამდებობა.	რაოდენობა
	1. ბათუმის ნავთსადგურისა.	
1	წყლის მილიციის უფროსი	1
2	პოლიტიკ. კომისარი (თანაშემწე პოლიტ. ნაწილში)	1
3	მილიციის უფროსის თანაშემწე . . .	1
4	საქმის მწარმოებელი	1
5	რეგისტრატორი	1
6	მემანქანე	1
7	დამლაგებელი	1
8	უფროსი მილიციონერი	6
9	უნცროსი მილიციონერი	36
	ს უ ლ . . .	49
	2. ფოთის ნავთსადგურისა.	
10	წყლის მილიციის უფროსი	1
11	პოლიტიკ. კომისარი (თანაშემწე პოლიტ. ნაწილში)	1
12	მილიციის უფროსის თანაშემწე . . .	1
13	საქმის მწარმოებელი	1
14	რეგისტრატორი	1
15	მემანქანე	1
16	დამლაგებელი	1
17	უფროსი მილიციონერი	4
18	უნცროსი მილიციონერი	24
	ს უ ლ . . .	35
	საერთოდ . .	84

შინაგან საქ. სახ. კომისარი ბ. **კვირკელია.**

საქმეთა მმართველი **დიდებულიძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

შტატი № 9

საქართველოს რესპუბლიკის რკინის გზის მილიციისა.

№№ რიგ.	თანამდებობა	რაოდენობა	თვიური ჯამაგირი	ავტომობილი	ეტლი	ცხენი	შენიშვნა:
	1. ხაზინის სამმართველო:						
1	მილიციის უფროსი	1			1	2	
2	მილიციის სამმართველოს უფროსი მილიციის უფროსის მოადგილე	1					
	სულ	2					
	2. პოლიტ.-სეკრეტარიატი:						
3	პოლიტიკური კომისარი იგივე პოლიტიკური სეკრეტარიატის უფროსი	1					
4	მდივანი	1					
	სულ.	2					
	3. კანცელარია:						
5	უფროსი საქმის-მწარმოებელი	1					
6	უმცროსი ,,	1					
7	გადამწერი	1					
8	რეგისტრატორი	1					
9	მემანქანე	1					
	სულ.	5					
	4. საადმინისტრაციო საბჭო. განყოფ.						
10	განყოფილების უფროსი	1					
11	საქმის-მწარმოებელი	1					
12	მემანქანე	1					
	სულ	3					
	5. სისხლის სამართლის საქმის ძიების განყოფილება:						
13	განყოფილების უფროსი	1					
	სულ	1					
	ა. კვლევა-ძიების ნაწილი:						
14	კვლევა-ძიების ნაწილის უფროსი იგივე გან. უფროსის მოადგილე	1					
15	კვლევა-ძიების ინსტრუქტორი.	1					

ეროვნული ბიბლიოთეკა

16	საქმის-მწარმოებელი	1				
17	კანტორის მოხელე	1				
18	მემანქანე	1				
	სულ	5				
	ბ. სამძებრო ნაწილი:					
19	ნაწილის უფროსი	1				
20	ინსტრუქტორი	2				
21	სისხ. სამ. მილ. 1 ხარისხ.	4				
22	,, ,, 2 ,,	2				
	სულ	9				
	6. სამნეო ნაწილი:					
23	ნაწილის უფროსი	1				
24	ბუხჰალტერი	1				
25	საქმის მწარმოებელი	1				
26	მემანქანე	1				
27	კანტორის მოხელე	1				გადამწერი
28	მოლარე	1				
29	იარაღის გამგე	1				
30	შიკრიკი	2				
31	მეწაღე	1				
32	თერძი	1				
33	დალაქი	1				
	სულ	12				
	7. რკინის გზის 7 რაიონი:					
34	უფროსები	7				თბილისში და ბათომში ორ-ორი თანაშემწე.
35	მათი თანაშემწენი	9				
36	ინსტრუქტორი სისხ. სამართ.	7				
37	სისხ. სამ. უფრ. მილ. 1 ხარისხ.	21				
38	საქმისმწარმოებელი	7				
39	გადამწერი	7				
40	მემანქანეები	7				
41	შიკრიკები	9				
42	მილიციონერები	340				1 ხარის. 140 მე-2 ხარ. 200 ამ რიცხვში—სის. სამ. მე-2 ხარ.—83.
	სულ	414				
	საერთოდ:	453		1	2	

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი **ბ. კვირკელია.**

საქმეთა მმართველი **დიდებულიძე.**

შტატი № 10.

მილიციის სარდლობის კურსებისა.

№ № რიგზე	თანამდებობა	რაოდენობა
1	კურსების უფროსი	1
2	სამოსწავლო ნაწილის უფროსი	1
3	ოცეულის უფროსი	2
4	უფროსი საქმის-მწარმოებელი	1
4	მემანქანე	1
6	მეკუჭნავე	1
7	დამლაგებელი	1
	სულ	8

შინ. საქმ. სახ. კომისარი **ბ. კვირკელია.**

საქმეთა მმართველი **დ. დებულიძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

შტატი № 11

ს. ს. ს. რესპუბლიკის მილიციის სამმართველოს მარქაფა რაზმისა.

№№ რიგზე	თანამდებობა	რაოდენობა	ავტომობილი	ეტლი	ცხენი	შენიშვნა
1	რაზმის უფროსი	1			1	
2	სამმართველოს პოლიტიკური კომისარი.	1			1	
3	რაზმის უფროსის თანაშემწე	1				
4	„ სამნეო (სამნეო ნაწილის გამგე)	1			1	
5	ადიუტანტი (რაზმის)	1			1	
6	საქმის მწარმოებელი	1				
7	მოლარე	1				
8	უფროსი დამკვრელი	1				
	სულ	8			4	
	2. გუნდი					
9	გუნდის უფროსი	1			1	
10	მისი თანაშემწე	2				
	სულ	3			1	
	წითელ-არმიელები					
11	ზემდეგი	1				
12	უფროსი თანამშრომელი	2				
13	უმცროსი „	4				
14	მილიციელები	48				
15	მედიცინის ფერშალი	1				მათგან შეიძლება იყვეს 8 თავმდეგი
	სულ	56				
	3. უმწყობრო მცირე გუნდი					
16	გუნდის უფროსი	1			1	
17	ზემდეგი	1				
18	მეკუჭნავე	1				
19	უმცროსი თანამშრომელი	1				
20	მეურნეები და ცხენების მომვლელნი	5				
21	რაზმის მწერლები	2				
22	დამკვრელები	18				სამი უფროსი თანამშრომელი.
	სულ	29			1	
23	სამნეო ორთვალა			2	2	
24	ოთხთვალა			1	2	
25	სამგზავრო სამზარეულო			1	2	
26	სანიტარული ეტლი			1	2	
27	ეტლი			1	2	
	სულ			6	10	

ეროვნული ბიბლიოთეკა

	ცხენოსანთა ასეული				
28	ასეულის უფროსი	1			1
29	მისი თანაშემწე	3			3
30	ზემდეგი	1			1
31	უფროსი თანამშრომელნი	3			3
32	უმცროსი „	6			6
33	მილიციონერები	72			72
34	საბეითლო ფერშალი	1			1
35	მჭედელი	2			2
	ს უ ლ . .	89			89
	ს ა ე რ თ ო ლ	183		6	105

შენიშვნა: რაზმი ექვემდებარება მთავარ მილიციის სამმართველოს უფროსს, რაზმის უფროსს ნიშნავს და ამტკიცებს მთავარ მილიციის უფროსი.

შინაგან საქმეთა სახალხო

კომისარი **ბ. კვირკელია.**

საქმეთა მმართველი **დ. დებულიძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 12 შტატის დამატება

რაიონის რაოდენობისა, უფროს და უმცროს ცხენოსან და ქვეითა მილიციელებისა საქართველოს სოციალისტურ რესპუბლიკის მაზრებში.

№№ რიგზე	დასახელება რაოდენობისა		რაიონების რიცხვი	რაოდენობა: უფროსი ცხენ. მილიციონერ.	უმცროსი ცხენ. მილიციონერ.	უფროსი ქვეითა მილიც.	უმცროსი ქვეითა მილიციონ.	სულ მილიციონერ.	შ ე ნ ი შ ვ ნ ა:
1	ტფილისის	მაზრა	10	11	94	10	65	180	აღნიშნულ მილიციელთა რიცხვში შედის: გორის მაზ. ქ. ხაშურის და ბორჯომის და მათი რაიონების მილიციის პირადი შემადგენლობა. ქ. ბორჯომი და მისი რაიონ. გაყოფილია ორ რაიონად: ქ. ბორჯომი და ჩარხის წყალი, რომელსაც აერთიანებს ქ. ბორჯომის უფროსი და მისი რაიონის უფროსი და რომელსაც საზაფხულოდ ემატება ერთი თანაშემწე ახალციხის მაზრის ქ. აბასთუმანში.
2	გორის	„	14	16	150	15	90	271	
3	დუშეთის	„	12	13	69	13	50	145	
4	თიანეთის	„	5	6	50	6	48	110	
5	თელავის	„	5	6	50	6	35	97	
6	სიღნაღის	„	7	8	82	7	60	157	
7	ბორჩალოს	„	4	6	50	6	25	87	
8	ახალციხის	„	4	6	50	5	59	120	
9	ახალქალაქის	„	4	6	50	5	30	91	
10	სამხრეთ-ოსეთ.	„	3	3	25	5	21	54	
11	ქუთაისის	„	8	9	87	9	52	157	ქუთაისის მაზ. შედის ქ. ხონი და სამტრედია.
12	შორაპნის	„	5	6	50	6	45	107	შორაპნის მაზ. ქ. ჭიათურა
13	ლეჩხუმის	„	4	6	50	5	28	89	ჩამოთვლილი რაიონის სამმართველოები ეწყობა თანახმად შტატისა № 3.
14	ოზურგეთის	„	6	7	63	7	75	152	
15	რაჭის	„	4	6	50	5	30	91	
16	ზუგდიდის	„	6	7	63	7	65	142	
17	სენაკის	„	7	8	76	8	65	157	
18	ზემო-სვან.	„	2	3	25	3	15	46	
19	ბათომის ოლქი	. . . . .	5	6	60	6	70	142	
		სულ . .	115	139	1194	134	928	2395	

შინაგან საქმეთა კომისარი ბ. კვირკელია.

საქმეთა მმართველი დიდებულიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲨᲢᲐᲢᲘ № 13.

ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲝᲡᲔᲗᲘᲡ ᲛᲘᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲗᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲘ

№№ რიგზე.	თანამდებობა	რაოდენობა	თვიური ჯამად.	ავტომობილი	ეტლი	ცხენი
1	მილიციის უფროსი . . .	1				1
2	სამმართველოს უფროსი (უფროსის მოადგილე) .	1				1
	სულ . . .	2				
	1. პოლიტ-სეკრეტარიატი.					
3	პოლიტიკ. კომის. (პოლიტ-სეკრეტარიატის უფროსი) .	1				
4	მდივანი	1				
	სულ . . .	2				
	2. საადმინისტრაციო სამწყობრო განყოფილება:					
5	საქმის მწარმოებელი (იგივე					
6	სისხ. სამარ. მაგ. გამგე . .	1				
7	რეგისტრატორი	1				
8	აგენტი (სისხ. სამართ.) . .	1				
9	გადამწერი	1				
10	მოლარე(იგივე სამნ. ნაწ. გამგე)	1				
	დამლაგებელი	1				
	სულ . . .	6				
	საერთოდ . .	10				2

შინ. საქ. სახ. კომისარი **ბ. კვირკელია.**

საქმეთა მმართველი **დიდებულიძე.**

ᲨᲢᲐᲢᲘ № 14.

საქართველოს რესპუბლიკის რკინის გზის სამეურნეო მილიციელთა, რომელნიც იმყოფებიან რკინის გზის სარჯზე და ექვემდებარებიან რკინის გზის მილიციის უფროსს.

№№ რიგზე	თანამდებობა	რაოდენობა
1	რკინის გზის სამეურნეო მილიციონერები	361
	სულ . . .	361

შინაგან საქ. სახ. კომისარი **ბ. კვირკელია.**

საქმეთა მმართველი **დიდებულიძე.**

ᲨᲢᲐᲢᲘ № 15.

ᲖᲔᲛᲝ-ᲡᲕᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲛᲘᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲗᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲘ.

№№ რიგზე	თანამდებობა	რაოდენობა	თვიური ჯამ.	ავტომობილი	ეტლი	ცხენი
1	მილიციის უფროსი	1				1
2	სამმართველოს უფროსი მილიციის უფროსის მოადგ.	1				1
	სულ . . .	2				
	1. პოლიტ.-სეკრეტარიატი					
3	პოლიტიკ. კომისარი პოლიტ.-სეკრეტარიატის უფროსი .	1				
4	მდივანი	1				
	სულ . . .	2				
	2. საადმინისტრაციო სამწყობრო ნაწილი:					
	საქმის მწარმოებელი (იგივე					
5	სისხ. სამ. მაგ. გამგე) .	1				
6	რეგისტრატორი	1				
7	აგენტი (სისხლ. სამართ.) .	1				
8	გადამწერი	1				
9	მოლარე	1				
10	დამლაგებელი	1				
	სულ . . .	6				
	საერთოდ . .	10				2

შინ. საქმ. სახ. კომისარი **ბ. კვირკელია.**

საქმეთა მმართველი **დიდებულიძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა-ოფიციალური განყოფილება

ახალი ეკონომიური პოლიტიკა და საბჭოთა რუსეთის პერსპექტივები.

(დასასრული *)

სახელმწიფო ხარჯების ამ ნაწილის დაფარვა წინად ხდებოდა ახალი ემისიების საშუალებით. ნორმალური ეკონომიური თვალსაზრისით კი ასეთი ხარჯები უნდა დაიფაროს არა ემისიის, არამედ ადგილობრივი მრეწველობის განვითარებისა და ადგილობრივი გადასახადების საშუალებით. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ზომა რუსეთის ფულის ტრიალს გაჯანსაღების გზაზე დააყენებს.

სახელმწიფოში შემოსავლის ერთ უმთავრეს წყაროს შეადგენს პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადი. ყრილობამ ამას ფრიად სერიოზული ყურადღება მიაქცია და ამ მოკლე ხანში გამომუშავდება საერთო სახელმწიფო პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადის სისტემა.

გარდა ამისა საბჭოთა ყრილობა ბიუჯეტის პროექტის დამტკიცებასთან ერთად შეურყევლად ატარებს საბჭოთა ხელისუფლების საფინანსო და სატარიფო პოლიტიკის განუყოელ და მჭიდრო კავშირის იდეას.

ყრილობამ გარკვეული გადაწყვეტილება მიიღო იმის შესახებ, რომ შრომის ხელფასის მტკიცე ფონდი შეფარდებულ იქმნას საერთო ფინანსიურ გეგმასთან. ეს შრომის ხელფასის ფონდი ნავარაუდევი უნდა იყოს, ომის წინადროინდელი ოქროს მანეთით, რაც შესაძლებელს გახდის, შრომის ხელფასის ფულის მერყევ კურსთან ავტომატიურად შეფარდებას.

ეჭვს გარეშეა, რომ სატარიფო საკითხის ასე გადაწყვეტა ძირითად ცვლილებას შეიტანს შრომის ხელფასის გადახდის სისტემაში და ამავე დროს მიაღწევს ორმაგ მიზანს: უპირველეს ყოვლისა შრომის ხელფასის თანდათანობითი შეფარდებით ქალაქის ფულის ბაზრის კურსთან, არ მოხდება ის უეცარი გაძვირება პირველ საჭიროების საგნებზე და განსაკუთრებით სურსათ სანოვაგეზე, როგორც ეს ხდებოდა ხოლმე ხელფასის ყოველ მომატების დროს და აგრედვე ფასების ზრდის მიხედვით შრომის ხელფასის მომატება მოვაჭრეებს შესაძლოებას მოუსპობს რომ მათ გადასახადების მთელი სიმძიმე გადაიტანონ მუშათა მხრებზე თავიანთ საქონელზე ფასების აწევის საშუალებით.

თავის თავად ცხადია, რომ ხელსაყრელი და სასარგებლო ეკონომიური რეზულტატები უნდა გამომდინარეობდეს არსებული ბიუჯეტის გაჯანსაღებისა და გარდაქმნისაგან, რომელიც დამოკიდებულია საგადასახადო და სატარიფო პოლიტიკის მოგვარებაზე. ამ შემთხვევაში კი ოქროზე გადარიცხული ბიუჯეტი ნაყოფს მხოლოდ მაშინ მოიტანს, თუ ყველა ზემოხსენებული გადაწყვეტილებანი მტკიცეთ და დაუყოვნებლივ იქნება გატარებული ცხოვრებაში.

მე-IX ყრილობის ავტორიტეტი და მისგან მიღებულ დადგენილებათა განსაკუთრებული მნიშვნელობა არის იმისი თავდები, რომ ეს დადგენილებანი ქაღალდზე მკვდარ სტრიქონებად არ დარჩება და მალე იქცევა სინამდვილედ.

ასეთ ღონისძიებათა უმეშვეო შედეგები, როგორც შედეგები ახალი ეკონომიური პოლიტიკისა — ამ ჟამად სრულიად საგრძნობი და შესამჩნევი ხდება. თვალსაჩინო გამარჯვება დონის აუზში, ნავთის ამოღების დიდი ნაყოფიერება, მრეწველობის და განსაკუთრებით მეტალურგიის წარმოების გაზრდა ურალში, შრომის ნაყოფიერების აწევა და რაც უმთავრესია--წარმატება სასოფლო მეურნეობის დარგში. რესპუბლიკის ეკონომიურად აღორძინების ყველა ეს ობიექტიური საბუთები და აგრედვე მთელი რიგი ზომები ფინანსიური ხასიათისა, რომლებიც უკანასკნელ ხანს მიიღო სახელმწიფომ, საბაბს გვაძლევს—ვიფიქროთ, რომ საბჭოთა ფედერაციის ფინანსიური მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხი, სულ ახლო მომავლის საკითხია.

თუ ოთხი წლის რევლიუციის განმავლობაში რუსეთის საბჭოთა ფედერაციის ეკონომიკა და მეურნეობა შეუჩერებლად მიექანებოდა დაღუპვის უფსკრულისაკენ, ამ ჟამად ჩვენ მოწმენი ვხდებით იმისი, რომ არა მარტო შეჩერდა ეს დამღუპველი დაქანება, არამედ უკვე დაიწყო მისი წინსვ-

*) იხ. „მოამბე" № 29.

ლა და გაჯანსაღება. ამ დიდი ფედერაციის ეკონომიური მდგომარეობის ასეთი გამომჯობინება და წარმარტება აშკარად ეტყობა წარმოების ყოველ დარგს და ამას უმთავრესად ამტკიცებს ის როლიც რომელიც მიკუთვნებული აქვს 1922 წლის საბიუჯეტო ემისიას. რაც შეეხება ემისიით ნავარაუდევ ბიუჯეტის დიდ დეფიციტსა და მისი დაფარვის მნიშვნელობას, ამაზე საბჭოთა რუსეთის ფინანსთა სახალხო კომისარი თავის მოხსენებაში ამბობს რომ ამ ჟამად რუსეთი უფრო უკეთეს ფინანსიურ პირობებში იმყოფება ვიდრე ავსტრია, პოლონეთი და თუნდ გერმანიაც კი, სადაც სახელმწიფო ბიუჯეტთან შედარებით დეფიციტი ფრიად დიდია და ახალ ემისიებს კი ამ დეფიციტების დასაფარავად დიდი სიძნელე სჭირდება.

ამ ნაირად, ახლო წარსულთან შედარებით რუსეთის ფიუნანსიური მდგომარეობა გაცილებით გაუმჯობესებულად უნდა ჩაითვალოს. ფრიად დიდ მნიშვნელოვან საკითხად უნდა ჩაითვალოს ამ ჟამად საკითხი სასოფლო მეურნეობის მდგომარეობის გაუმჯობესებისა, რომელიც წარმოადგენს საძირკველს სახელმწიფოს სამეურნეო ძლიერებისას.

რაც შეეხება სასოფლო მეურნეობასა და მიწადმოქმედებას, მათი მდგომარეობა შეიცვალა იმდენად, რამდენად შეიცვალა მდგომარეობა მისი მფლობელი კლასისა. იმპერიალისტურმა და სამოქალაქო ომმა, რევოლიუციამ და აგრედვე ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ ღრმა გავლენა მოახდინა გლეხობაზე, მის ჯგუფობრივ ურთიერთობაზე. ყველა ამ მოვლენებმა შესცვალა მისი კლასობრივი და განსაკუთრებით მისი მეურნეობის ფორმა და დასამუშავებელი მიწის არე მთელს საბჭოთა რუსეთის ფედერატიულ რესპუბლიკაში.

პროლეტარულმა რევოლიუციამ, რომელმაც მოსპო და გაანადგურა რუსეთში მანამდე ასრებული კლასობრივი განსხვავება, ამ მშრომელთ გადასცა ის კლასობრივი სიმძლავრე, რომელსაც განაგებდა წინად გაბატონებული კლასი და მით ძირფესვიანად გარდაჰქმნა თვით გლეხების კლასობრივი ურთიერთობა და შეჰქმნა მთელი რიგი ფაქტორებისა ამ ახალი ფორმის გამტკიცებისა და განვითარებისათვის.

ახალ ეკონომიურ პოლიტიკას კი თავის მხრივ ბუნებრივად უნდა შეეცვალა იმ ეკონომიური ურთიერთობის მიმართულება, რომელიც პროლეტარული რევოლიუციისა და სამოქალაქო ომის პროცესში დამყარდა რუსეთის გლეხობას შორის. და სწორედ ამის გამო გლეხებს შორის ფრიად მნიშვნელოვან ხასიათს იღებს საკითხი კლასუბის დიფერენციაციისა და მათი ჯგუფობრივი ურთიერთობის შესახებ. მას მნიშვნელობა ეძლევა როგორც პრაქტიკულად, ისე პრინციპიალურადაც.

ამიტომ, საჭიროა გავიცნოთ ის ჯგუფობრივი ურთიერთობა, რომელიც რუსეთის გლეხობას შორის არსებობდა ომამდე, როგორ შეიცვალა ეს ურთიერთობა ომის განმავლობაში და რა სახე მიიღო მან რევოლიუციის დროს. თუ გავეცნობით ომამდე არსებულ ამ ურთიერთობის განვითარების ხასიათს, ჩვენ შეგვიძლიან გავითვალისწინოთ გლეხთა მეურნეობის განვითარების მიმართულება როგორც დღევანდელს მომენტში, ისე ახლო მომავალშიაც.

ეჭვს გარეშეა, რომ ამ ჟამად გაუგონარი შიმშილობისაგან შეძრწუნებულ და ილაჯ-გაწყვეტილ რუსეთის გლეხობის მეურნეობა და ეკონომიური ურთიერთობა დროებით შეფერხდება მრავალ ადგილას, მაგრამ საერთოდ მაინც იგი ხელს ვერ შეუშლის ამ გლეხობას შორის დაწყებულ კლასობრივ ევოლიუციას. გლეხური ინდივიდუალური მეურნეობა, რომელიც ეკონომიურად ჩამორჩენილი და არ მისდევს მეურნეობის ფორმების შეცვლასა და გაუმჯობესებას, ფრიად სათუთი და სწრაფი განმცდელია ყოლნაირ სამეურნეო ცვლილებებისა, რომლებიც ხდება მის გარეშე და მისგან დამოუკიდებლად.

როგორც წინედ, ისე ეხლაც მასზე სწრაფსა და გარკვეულ გავლენას ახდენს შინაური და მსოფლიო ყოველგვარი სამრეწველო კონიუნქტურა, ბაზარი, სახალხო მეურნეობისა და ურთიერთობის სიტუაციის მცირეოდენი ცვლილებაც კი. ამ საკითხის განხილვის დროს არ უნდა დავივიწყოთ აგრედვე, რომ გლეხთა მეურნეობამ განიცადა დიდი გავლენა იმპერიალისტურ და სამოქალაქო ომებისა.

რევოლიუციამ გლეხობის წინაშე დააყენა პერსპექტივა განსაზოგადოებრივებული მეურნეობის ფორმებისა, მაგრამ წინანდელი მეურნეობის ჩამოქვეითებისა და უსისტემობისმ ეოხებით-შეუძლებელი გახდა ახალ მეურნეობის ფორმებზე სწრაფი და უმეშვეო გადასვლა. წინანდელი კაპიტალისტური

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადოების მიერ შექმნილი პირობებით, რომელიც დაყრდნობილი იყო ფულისა და საქონლის გავლენის სიძლიერეზე, გლეხური მეურნეობა ვითარდებოდა მხოლოდ ამ ზემოხსენებული კლასის სასარგებლოდ და მის გასაძლიერებლად.

სოფლის სხვა და სხვა კლასები ერთსა და იმავე დროს განიცდიდნენ ორნაირ ევოლიუციას, რომელიც გამოიხატებოდა როგორც სოციალურ-ორგანიულ ხასიათის პროცესში, ისე ეკონომიური დიფერენციაციის პროცესშიაც.

გლეხობის მიერ გავლილი ევოლიუციის ეს ორი მიმართულება თავისი შინაგანის არსებით სულ სხვა და სხვა ხასიათისაა, მაგრამ ისინი ერთი-მეორესთან მჭიდროდ არის დაკავშირებული.

სოციალურ- ორგანიული პროცესები (დაყოფა, შეერთება, ემიგრაცია, ლიკვიდაცია და სხვ) სხვა და სხვა ეკონომიურ წრეში, სხვა და სხვა გვარად ვითარდება. მაგალითად მცხოვრებთა გაპროლეტარებული ნაწილისათვის გადასახლება და ლიკვიდაცია თითქმის გამონაკლის პრივილეგიას შეადგენს მაშინ, როდესაც დაყოფა შეადგენს საშუალო და შეძლებული გლეხობის ფუნქციას. მეორეს მხრივ სოციალურ ორგანიული პროცესი თავისი მიმდინარეობით სცვლის სამეურნეო ჯგუფების ეკონომიურ შემადგენლობას, რომლის დროს ორად, ან სამად გაყოფილი მეურნეობა-ჰქმნის მთელ რიგ წვრილ სამეურნეო ერთეულებს.

ომის დაწყების წინა დროს რუსეთში შეკრებილ იქმნა მასალა გლეხური მეურნეობის სხვა და სხვა ეკონომიურ ჯგუფთა რაოდენობისა, მათი განვითარებისა და მიმართულების შესახებ. ეს ჯგუფები ეკუთვნოდა სხვა და სხვა გუბერნიებს, სადაც სპეციალურად შეკრიბეს მასალები ამ საკითხების გამოსარკვევად. მაგალითად ტულის გუბერნიის ერთ ერთ მაზრაში 1899 წელს ირიცხებოდა 18,106 სამეურნეო ერთეული, ხოლო 1911 წ. 20.802. თუმცა ეს ციფრები მხოლოდ, ერთ მაზრას შეეხება, მაგრამ იგი საერთოდ დამახასიათებელია საერთო მიმდინარეობისა და გამომდინარეობს ზოგადი ერთი და იმავე მიზეზისაგან, ე. ი. იმ ინდივიდუალური მეურნეობის ხასიათისაგან, რომელიც დაკავშირებულია მიწის საერთო მფლობელობასთანა და აქედან გამომდინარე უთანასწორობასთან. რითაც ხასიათდება გლეხური მეურნეობის მასიური კლასიური შემადგენლობა.

ამიტომ, სამეურნეო ადგილების განსხვავება არა სცვლის ზემოხსენებული ევოლიუციის საერთო ხასიათს. ამის დასამტკიცებლად შეიძლება იმ საბუთის მოყვანა, რომ, გლეხური მეურნეობის სოციალურ-ორგანიული პროცესის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება—დაყოფა, ყველგან ერთნაირის კანონ-შეფარდებითა სწარმოებს და ყველგან ერთსა და იმავე რეზულტატს იძლევა. ამ მდგომარეობას სავსებით ამტკიცებს ქვემოდ მოყვანილი ცხრილი:

მაზრები და გუბერნიები	%-ში ყოველ წლიურად გაყოფ. სამ. ერთ.	გაყოფილთა რიცხვიდან.	%-ში ყოველ წლიურად გადასახლებულ სამეურნეო ერთ. გაყოფის შემდეგ მიმდინარეობა რიცხვ.	პერიოდები, რომლებსაც ეკუთვნის ცნობები.
სარ. გუბ. პეტროვსკის მაზრა. . .	2,2	1,0	2,4	1894—1897
ვიაზემსკ. მაზ. სმოლ. გუბ. . . .	1,3	0,6	0,7	1884—1900
მოსკოვის მაზ. . .	1,8	0,9	1,8	1899—1910
ტულ. გუბ. ენიფონს. მაზ. . .	2,0	0,8	1,6	1899—1911
ტულის მაზრა. . .	2,2	0,8	1,7	1900—1912.

აქედანა სჩანს, რომ რუსეთის ტერიტორიის სხვა და სხვა ადგილებში გლეხური მეურნეობის დამახასიათებელი პროცესი სწარმოებს ყოველწლიურად, შეუჩერებლივ და თითქმის თანაბარის ტემპით. ასეთივეა შედეგი დაყოფისა. მას მოსდევს მთელი რიგი მცირე მაშტაბის სამეურნეო ერთეულებისა. ეს დაყოფვა სწარმოებს ემიგრაციის გაძლიერების მეოხებით და ამ ემიგრაციის ტემპიც თითქმის თანაბარია ყველა გუბერნიებში, სმოლენსკის გუბერნიის გარდა. ეს ცხრილი და ციფრები, რომელთა მოყვანაც უფრო ვრცლად შეიძლება ერთხელ კიდევ ხაზგასმით ამტკიცებენ გლეხური მეურნეობის სოციალურ ორგანიულ პროცესს. სხვა და სხვა ადგილას. სოფელში ხელახლად დაბრუნება, მამულის შეერთება თუ ლიკვიდაცია, ყველა ეს სწარმოებს კერძო მესაკუთრეობის უფლების საფუძველზე და ყველა ადგილებისათვის თანაბარი ხასიათი აქვს. ქვემოდ მოყვანალი ცხრილი აშკარად ვვაჩვენებს თუ რანაირი ცვლილება ხდე-

ბოდა გლეხური მეურნეობის სხვადასხვა ჯგუფების მიერ რანაირი ცვლილებანი ხდებოდა ამ დარგში ჯერ კიდევ ომის დაწყების წინად. აქ მოყვანილია იმის დამახასიათებელი ციფრები თუ რანაირი ცვლილება მოხდა რუსეთის გლეხურ მეურნეობის დარგში თერთმეტი წლის განმავლობაში ე. ი. 1899 დან 1911 წლამდე:

| სოფლიანი ჯგუფები 1899 წ. | ... | ... | ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდის წარმატებით არა სწარმოებს, მაგრამ ეს „კულაკები“ წარმოადგენენ ისეთ ძალას, რომელიც თავის ნებაზე განაგებს ჩამოქვეითებული სამეურნეო ჯგუფების ბედ იღბალს. მათ გვერდითა სდგას საშუალო შეძლების გლეხობა, რომელიც სცდილობს მოექცეს ამ კულაკების მსხვილი მეურნეობის რიგში, მაგრამ ამ ჯგუფის მცირე ნაწილი ძლივს ახერხებს ამ დარგში არსებული პირობების დაძლევას და თვის საწადელის მიღწევას. არსებითად კი კულაკისა და საშუალო შეძლების გლეხობის ფსიხოლოგია არ განსხვავდება, მათი ინტერესები თითქმის ერთნაირია. ამიტომ გასაგებია, რომ ყველა ის ღონისძიებანი, რომლებიც მიმართულია კულაკებზე გავლენის მოსახდენად ერთ და იმავე დროს საზიანოდ მიაჩნიათ საშუალო შეძლების გლეხებსაც.

იმპერიალისტური ომის შემდეგ რუსეთის გლეხობის შორის ჯგუფობრივი ურთიერთობის განვითარების ხასიათი საკმაოდ შეიცვალა. ეჭვს გარეშეა, რომ ამ ომმა გააღრმავა კლასობრივი ურთიერთობა სოფლად, ვინაიდან მან გაამრავლა პროლეტარიატის რიგები და გააღატაკა ხალხი. მაგალითად 1917 წელს როდესაც ეს ომი უმაღლეს წერტილამდე მძიმე და აუტანელი შეიქმნა, მან თავისი დამღუპველი კლანჭი მოსდო უმთავრესად სოფელს, რაც გამოიხატა იმაში რომ მრავალ გუბერნიაში დიდი პროცენტი მიწებისა დაუთესავი დარჩა.

ეს ამტკიცებს იმას, რომ ომის დამღუპველი გავლენა გლეხობის მიმართ გამოიხატა ამ უკანასკნელის გაღატაკებასა და გაპროლეტარებაში.

საკმაო ცნობების უქონლობის გამო სამწუხაროდ აქ არ შეგვიძლიან დავახასიათოთ რევოლიუციის გავლენა გლეხური მეურნეობის შესახებ. აქ შეგვიძლიან ცნობა მოვიყვანოთ მხოლოდ იმის შესახებ, თუ როგორი ცვლილება მოხდა რუსეთის სამეურნეო დარგების გადაჯგუფების მხრივ სხვა და სხვა რაიონებში:

რაიონებში:	საშუალო ნათესი ერთი დარგის მეურნეობის: 1917 წ.	1920 წ.
1 სამხრეთ-აღმოსავლეთი . . .	7,6	5,0
2 ქვემო-ვოლგა	6,4	5,8
3 ურალის	4,5	3,7
4 შუა-ვოლგის	4,2	3,6
5 მიწადმოქმ. ცენტრ. რაიონებში	8,9	2,9
6 ჩრდილო-დასავლეთის	3,4	1,8
7 ცენტრ. სამრეწველო რაიონ.	2,0	1,4
8 „პრიოზერის“ რაიონ. . . .	1,9	1,4
9 ჩრდილოეთი	1,8	1,2

ნათესი სივრცის შემცირებასთან ერთად შემოკლდა აგრედვე საშუალო მეურნეობაც, მაგრამ თვით მსხვილი მეურნეობის მიხედვით რაიონების მდებარეობას ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც წინეთ, მაგალითად სამხრეთ-აღმოსავლეთი და ქვედა ვოლგა ყველაზედ მსხვილი მეურნეობის რაიონებად, ხოლო ჩრდილო „პრიოზერნი“ და სამრეწველო ცენტრის რაიონები ითვლებოდა ყველაზე წვრილ სამეურნეო რაიონებად.

ამ მხრივ შეცვლილი პირობების დამახასიათებელ თვისებას შეადგენს ის, რომ წვრილი მფლობელი განთავისუფლდა ძველი მესაკუთრის ბრჭყალებისაგან. ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ გლეხობას მოასწრო იმ მომენტში, როდესაც იგი ითვისებდა ცხოვრების იმ ახალ ფორმებს, რომლებშიაც იგი ჩააყენა რევოლიუციამ.

სამწუხაროდ მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკა საშუალებას არ იძლევა ამ მეურნეობის უახლესი პერიოდის ტენდენციის გამორკვევისათვის. სათესი სივრცის რაოდენობის ცვალებადობა და სიმცირე, რომელიც აშკარა ბარომეტრია გლეხური მეურნეობის მდგომარეობისა საკმაო სიცხადით ამტკიცებს ძველი კურსის გავლენას სოფელზე. რუსეთის მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატთან არსებული საგეგმო მუშაობის სამმართველოს მიერ გამოქვეყნებულ ცნობათა შორის არის მნიშვნელოვანი დამახასიათებელი ციფრების მთელი რიგი რუსეთის სამხრეთ გუბერნიებისა (16 გუბერნია) და ჩრდილო გუბერნიების (5 გუბ.) სადაც აღნუსხულია დათესილი სივრცის პროცენტული რაოდენობა 1916 წლიდან 1921 წლამდე საილიუსტრაციოდ მოვიყვანთ ზოგიერთ ციფრებს.

1) ჭვავით დათესილი მინდვრებს.

	1916	1917	1919	1920	1921
სამხრ. გუბ.	100	100,7	89,6	90,4	69,2
ჩრდ. გუბ.	100	87,9	85,0	87,4	78,6

2) პურით დათესილი მინდვრები

სამხრ. გუბ.	100	73,4	66,2	69,7	47,1
ჩრდ. გუბ.	100,	84,5	23,3	28,4	18,0

3) შვრიით დათესილი

სამხრ. გუბ.	100	98,6	62,2	82,8	56,7
ჩრდ. გუბ.	100	93,1	76,4	59,4	44,2

ამავე ცნობების მიხედვით ქერით დათესილი მინდვრების სივრცე შემცირებულია სამხრეთ გუბერნიებში 50% და ჩრდილო გუბერნიებში 80%-ით.

ლაპარაკი არ უნდა, რომ სათესი სივრცის ასეთ შემცირებაზე დიდი გავლენა ჰქონდა მთელ რიგ მიზეზებს, რომლებიც გამოწვეული იყო როგორც სამუშაო იარაღის განადგურებითა და სიმცირით, ისე მობილიზაციებით, სამოქალაქო ომითა და სხვ. მაგრამ მიუხედავად ყველა ამისა ნატურალური განაწერის გავლენა მაინც ფრიად საგრძნობი რჩება. სულ ახლო მომავალი მოგვცემს საშუალებას, რომ შესაძლებელი გახდეს სტატისტიკურად გამოკვლევა იმისი, თუ რანაირი გავლენა იქონია ახალ ეკონომიური პოლიტიკის კურსმა სოფლის მეურნეობის განვითარებაზე.

მაგრამ ეხლავე არის იმისი მაჩვენებელი ნიშნები, რომლებიც ამართლებს ამ კურსისათვის საფუძვლად დადებულ მოსაზრებას და დადებითად სწყვეტს მომავალი მეურნეობის გაჯანსაღების საკითხს. ჩვენ უკვე აშკარად ვხედავთ რომ გლეხობის პირადი ინტერესების განთავისუფლება სასურსათო განაწერისაგან და ნატურალური გადასახადის დაწესება გლეხურ მეურნეობას დასძრავს მკვდარი წერტილიდან და აამაღლებს როგორც რაოდენობის, ისე ღირსების მხრივ. თუმცა ჯერ გამორკვეული არ არის 1921 წლის შემოდგომაზე დათესილი მინდვრების რაოდენობა, მაგრამ ადგილებიდან მიღებული ცნობების მიხედვით აშკარად სჩანს, რომ გლეხობა ყოველ ღონესა ხმარობს ხვნა-თესვის გაფართოვებას, რამდენადაც ამის საშუალებას იძლევა ადგილობრივი მიწის ფონდი და ინვენტარი. მაგალითად ტულის გუბერნიაში 1921 წლ. შემოდგომაზე მოხნული მინდვრების სივრცე უდრის 510 ათას დესეტინას, მაშინ, როდესაც 1919 წელს ეს რიცხვი არ აღემატებოდა 477 ათას დესეტინას. ხოლო 1920 წელს იგი უდრიდა 412 ათას დესეტინას. პეტროგრადის გუბერნიაში შემოდგომის ნახნავი გათანაბრებულია 1917 წლის ნახნავთან. უნდა აღინიშნოს რომ უკანასკნელი შემოდგომიდან დაწყებული ხვნა არა კმაყოფილდება მხოლოდ ძველი მიწებით, არამედ იხვნება დიდი ნაწილი ჯერ ხელ უხლებელი, ყამირი მიწა, რომელიც ძლიერ დასველებულია და მეტი მოსავლის მოცემა შეუძლიან. გარდა ამისა 1921 წელს რუსეთში იწყება სწრაფი ზრდა სამელიორაციო ამხანაგობებისა. მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატთან არსებულ სამელიორაციო განყოფილების ცნობების მიხედვით უკანასკნელ რამოდენიმე თვეში დაარსდა 140 სამელიორაციო ამხანაგობაზე მეტი.

საგუბერნიო საერობო განყოფილებანი სავსეა გლეხების თხოვნით, რომ მათ მინდვრის კულტურის გასაფართოებლად მიეცეს ტყის ნაჭრები სახელმწიფო ფონდიდან.

სასოფლო მეურნეობის ტრადიციული ფორმები ველარ აკმაყოფილებს გლეხობას.

წარსული წლის ზაფხულში მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატმა შეიმუშავა ახალი ფორმები სასოფლო მეურნეობის ადგილობრივ გამოსარკვევ ექსპედიციების გასაგზავნად. ყრილობის ანგარიშებში აღნიშნულია დელეგატების აზრი, რომელთაც შემოვლილი აქვთ თითქმის მთელი რუსეთი, რომ ამ ჟამად სოფლად დიდი მეცადინეობა სწარმოებს აგრონომიულ ნიადაგზე. ბევრგან ამ მხრივ ახალი მეთოდებია არა მარტო სიტყვიერად, არამედ პრაკტიკულადაც ტარდება ცხოვრებაში. სოფელი უკვე დარწმუნდა ძველი მეურნეობის მეთოდების უვარგისობაში და იგი ეძიებს ახალ ფორმებსა და საშუალებებს თავის მეურნეობის გასაუმჯობესებლად, როგორც იარაღებით, ისე მუშაობის სისტემითაც.

ამ ჟამად გლეხობაში უკვე თვალსაჩინოდ გავრცელდა ელექტრონი, რომელიც სისტემატიურად აუცილებელ ფაქტორადა ხდება მის შიგნებაში მეურნეობის გასაუმჯობესებლადა და გარდასაქმნელად.

მიწადმოქმედების კომისარიატის საელექტროფიკაციო განყოფილებამ აუარებელი შეკვეთები მიიღო გლეხებისაგან სოფლებში ელექტრო-შუქის მოსაწყობად, რისთვისაც გლეხები თანახმანი არიან თითო სანათზე წლიურად ათი ფული ხორბალი გადაიხადონ. ითვალისწინებს რა თავის განკარგულებაში მყოფ უწყებათა საშუალებით ამ საქმის განხორციელების შესაძლებლობას, „ელექტროზემის“ განყოფილებას კომისართა საბჭოში შეაქვს დებულება იმის შესახებ, რომ მთელს რესპუბლიკაში დაარსებულ იქმნას კოოპერატივები, რომელთა მოვალეობას უნდა შეადგენდეს მთელი მეურნეობის ელექტროფიკაციის მოწყობა.

უნდა აღინიშნოს რომ მიუხედავად მრავალი დაბრკოლებებისა და აგრედვე მოუსაკლობისა მაინც მტკიცედ იკიდებს ფეხს ტენდენცია სასოფლო მეურნეობის გაუმჯობესებისა და გაჯანსაღების შესახებ. ეს ტენდენცია ჰქმნის შეგნებას გლეხობას შორის, რომ მან პირნათლად შეასრულოს სახელმწიფოს წინაშე და გადაიხადოს თავისი მცირე მოსავლიდან ნატურალური გადასახადი, მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი დამშევის გამო ზოგიერთ გუბერნიას კუთვნილზე უფრო მეტის გადახდა დასჭირდა.

სასურსათო კომისარიატის ცნობების მიხედვით 1921 წლის ნატურალური გადასახადი შეკრებილია შემდეგის რაოდენობით. აქ პური შეცვლილია ჭვავით:

კამპანიის დასაწყისში დამზადებულია:

რაიონები	1920—21	1921—22
სამხრეთ გუბერნიებში სადაც საკმაო მოსავალი იყო: . .	15,034,641	15,571,367

ჩრდილო გუბ. სადაც საკმაო მოსავალი არ იყო:	7,472,169	20,542,039
მცირე მოსავლიანი მაგრამ, მაინც დაუმშეველ გუბ: . .	5,513,231	1,083,557
დამშეულ გუბერნიებში	19,242,660	223,389
ციმბირში	15,364,877	7,089,138
ჩრდილო კავკასიაში	17,138,168	2,724,700
თურქესტანში . .	1,938,245	502,771
ყირიმში	—	221,988
ყირგიზეთში . . .	—	123,218
სულ	81.938245	58.090.517

ეს ციფრები ამტკიცებს უკვე იმ სახელმძღვანელო თვალსაზრისს რომ სასოფლო მეურნეობის შემაფერხებელი მუხრუჭი არის არა სიდიდე სასურსათო განაწერისა, არამედ თვით პრინციპი ზედმეტების ჩამორთმევის წარმოებისა, მეთოდი მისი სახელ-მწიფოსათვის გადაცემისა.

1921 წლის მიწურულში უკვე შეჩერებულ იქმნა გლეხური მეურნეობის რეგრესი და უკან დაქანება თითქმის ყველგან, სადაც კი შიმშილმა თავისი გაძვალტყავებულის ხელებით არ დაამხო და გაანადგურა მთელი ბაზა, როგორც სამომხმარებლო, ისე საწარმოვო მეურნეობისა.

ამ ჟამად მთელს რესპუბლიკაში უკვე აშკარად ემჩნევა მიდრეკილება სასოფლო საწარმოვო მეურნეობის განვითარების, თუმცა უნდა ითქვას, რომ ეს მიდრეკილება არ ნიშნავს საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტას და მეურნეობის ახალ ორგანიზაციას. რომ არაფერი ვსთქვათ იმ აუტანელ დაბრკოლებებსა და სიმძიმეზედ, რომელშიაც მოექცა დამშეული გუბერნიების მიწის მოქმედი, მაინც თვით ამ მეურნეობის გაუმჯობესებისა და განვითარების ინტერესის აღძვრაც კი თავის გვერდით აყენებს მთელ რიგ სერიოზულ და რთულ მორიგ ამოცანებსა და საკითხებს.

უპირველესი ყოვლისა მორიგ საკითხად სდგება საკითხი იმის შესახებ, რომ მოხდეს მიწით სარგებლობის ტერიტორიალური ორგანიზაცია, ყოველ მიწის მოქმედს მეურნეობის საწარმოებლად მიეცეს მიწის განსაზღვრული სივრცე.

ამ მხრივ მიწის მოუწყობლობა ახალი ეკონომიური პოლიტიკის კურსის მიხედვით წარმოადგენს სასოფლო-მეურნეობის პროგრესის მთავარ დამაბრკოლებელ მოვლენას. არა ნაკლებ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს სასოფლო სამეურნეო განათლების საქმის ორგანიზაცია.

სოფელი ეძებს ცოდნას, და სურვილი უეჭველად უნდა დაკმაყოფილდეს. ყველა ამ საკითხების დადებითად, და დაჩქარებით გადაჭრა მტკიცე ბაზას შეჰქმნის რუსეთის სასოფლო მეურნეოპისა და მისი გლეხობისათვის მძიმე მდგომარეობის ლიკვიდაციისათვის და მას ჩააყენებს სულ ახალ და სასურველ პირობებში.

განცხადებანი:

თანახმად 63 მუხ. დეკრ. № 28 საქართველოს რევოლიუციონურ კომიტეტის სამმართველოს განყოფილების 1921 წ. 28 აპრ. ქ. თბილისისი აღმას. კომიტეტის მოქ. მდგომარეობის აქტების ჩაწერის ქვეგანყოფილება აცხადებს, რომ ოდა გიორგის ასულ სოფარეოვისამ შემოიტანა განცხადება მისი გვარის სოფარეოვის გედევანოვზე შეცვლის შესახებ.

დავკარგე პირადობის მოწმობა მიღებული ტფილისის მილიციის მთავარ სამმართველოდან 1921 წელს ალექსანდრე ნიკოლოზის ძე იუზბაშევის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

დავკარგე სარეგისტრაციო ბარათი მოცემული საქართველოს წითელი ლაშქრის საგანგებო განყოფილებიდან № 6358 და პირადობის მოწმობა მიღებული მილიციის მთავარ სამმართველოდან № 7582 ნიკოლოზ გრიგოლის ძე ტატიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

დავკარგე პასპორტი მიღებული ტფილისის მილიციის მთავარ სამმართველოსაგან 1917 წ. გრეგინ ენოქის ძე მიკირტიჩიანის, (იგივე შაგრიარსკის) სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

დავკარგე პასპორტი მიღებული 1920 წელს ტფილისში არსებულ სომხეთის მისიის კანცელარიიდან ევგენია კირიდეს ასულ ბახჩისარიანის სახელზე.

დავკარგე პასპორტი მიღებული სუნჟინ-კავკავის პოლკიდან 1912 წელს № 1971 ბოდინა იოსების ასულ სავჩენკოს სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

დავკარგე მეტრიკული მოწმობა მიღებული 1906 წელს იალტის ებრაელთა რაბინის კანცელარიიდან ვლადიმერ გრიგოლის ძე შვარცის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

დავკარგე პასპორტი მიღებული ხერსონის გუბერნიის ს. მარინის სათემო სამმართველოსაგან 1912 წ. 20 იანვარს № 139 ტროფიმ თევდორეს ძე ონოფრიენკოს სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

დავკარგე უვადო პასპორტი მიღებული ზაქათალის მილიციის სამართველოსაგან 1918 წელს არაქსია ივანეს ასულ ვართაზარიანის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

დავკარგე უვადო პასპორტი მიღებული ტფილისის პოლიცმეისტრის კანცელარიიდან 1912 წელს № 190 გრიგოლ დავითის ძე ანჯაფარიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

დავკარგე პასპორტი მიღებული კრასნოდარსკის მილიციის მთავარ სამმართველოსაგან 1921 წელს კონსტანტინე ევსევის ძე და ვერა აბრამის ასულ და მიხეილ კონსტანტინეს ძე ბრიდოვების სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

დავკარგე პირადობის მოწმობა მიღებული კრასნოდარსკის საოლქო მილიციის სამართველოდან 1922 წ. 15 იანვრის თარიღით № 3456 გაიანე (ევგენია) ივანეს ასულ ბრიტოპოპოვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

დავკარგე პასპორტი, მოცემული 1922 წელს ქ. ალექსანდროპოლის რევკომის მიერ კონსტანტინე ნიკოლოზის ძე მიდნიჩენკოს სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

დავკარგე პირადობის მოწმობა მიღებული 1920 წელს ტფილისის მილიციის უფროსისაგან ვერა პეტრეს ასულ კოტიბენკოვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

დავკარგე პირადობის მოწმობა მიღებული ქ. ხარკოვის ქალაქის მილიციის სამმართველოსაგან 1918 წელს მარიამ ალექსანდრეს ასულ შიდლინგის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

დავკარგე უვადო პასპორტი მიღებული ქ. პეტროვსკის საქალაქო მილიციის სამმართველოდან ლიუბოვ ვასილის ასულ ბელიკოვის სახელზე 1920 წელს № 674. ჩაითვალოს გაუქმებულად.

თანახმად 63 მუხ. დეკ. № 28 საქართველოს რევოლუციონურ კომიტეტის სამმართველოს განყოფილების 1921 წ. 29 აპრილის ქ. ტფილისის ალმას. კომიტეტის მოქ. მდგომარეობის აქტების ჩაწერის ქვეგანყოფილება აცხადებს რომ იაკობ ნაუმის-ძე ბრენერმა შემოიტანა განცხადება მისი გვარის ბრენერის ვაგნერზე შეცვლის შესახებ.

ნ. დ. ს. ც. ტფილისი, პოლიგრაფანყ. სტამბა—ტირაჟი 2500.